CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

## აფიორა თუ დასაქმების რეალური შანსი?

„უმუშევართა დასაქმების სააგენტო“ 5 სექტემბრიდან უმუშევართა რეგისტრაციას იწყებს

N129/3059/ 4 სექტემბერი 2014 წ PRESS ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## ექსკლუზიური ინტერვიუ შს მინისტრის მოადგილესთან

რა ღონისძიებების გატარებას გეგმავს შსს გახშირებული მკვლელობების გამო



## ლალი მოროშკინა:

„ვამბობდი მკვლელები სააკაშვილისგან ზარს ელოდებიან-მეთქი. მათ მიიღეს ეს ზარი!“



„სააკაშვილზე ირონიით იმის თქმა, რომ ის არის გუშინდელი დღე და შარშანდელი თოვლი, არის აბსოლუტურად მცდარი“

# რას საუბრობენ ნატოს კულუარებში საქართველოზე სამიტის დაწყების წინ?

## ძველი პარლამენტის დანგრევის ოფიციალური დოკუმენტაცია გაქრა

ვის დასჯიან თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფო ქონების განადგურებისთვის



## „ნაციონალებმა“ უცხოელი პედაგოგები პიარისთვის ჩამოიყვანეს, რაში დასჭირდა „ოცნებას“ იგივეს გაკეთება?



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## მაშველებმა მესტიიდან ტურისტები ჩამოიყვანეს



შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს მაშველებმა, მესტიის მუნიციპალიტეტში წარმატებით ჩატარებული სამაშველო ოპერაციის შედეგად მდინარე მულხურას ხეობიდან გზააბნეული ტურისტები გამოიყვანეს.

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტში შევიდა შეტყობინება იმის შესახებ, რომ დაბა მესტიასა და მულახს შორის, ხეობაში იმყოფებოდა ორი ტურისტი, რომლებიც ვერ ახერხებდნენ გამოსვლას. სამაშველო ჯგუფი შეტყობინების მიღებისთანავე გავიდა შემთხვევის ადგილზე. მიღებული „ჯი-პი-ეს“ კოორდინატების საშუალებით მალევე დაადგინეს ტურისტების ზუსტი ადგილსამყოფელი. შსს-ს მაშველებმა ისრაელის ორი მოქალაქე დაბა მესტიაში უვნებლად ჩამოიყვანეს. (ნიუპოსტი)

## ბარნოვზე მომხდარი მკვლელობის საქმე გახსნილია



„ერთი წლის წინათ მარიამობას აჭარიდან მოდიოდა თენგო მახარაძე, ცოლთან და პატარა შვილთან ერთად. ავარია მოხდა და სამივე გარდაიცვალა! ყველაზე საშინელი ტრაგედია იყო ეს ამბავი თუ რამე მინახავს და გამიგია. თენგოს ძმაა ლაშა, რომელიც ჩაცხრილეს! ღმერთო ძალა მიეცი მათ დედას!“, – ამის შესახებ ჟურნალისტი ნანუკა ჟორჟოლიანი „ფეისბუკის“ საშუალებით წერს.

შეგახსენებთ, რომ 2 სექტემბერს საღამოს ვაკეში, ბარნოვის ქუჩაზე ახალგაზრდა მამაკაცი ჩაცხრილეს. გავრცელებული ინფორმაციით, გასროლა „მერსედესის „გეელ“ მარკის ავტომანქანიდან მოხდა, სავარაუდოდ, მაყუჩიანი პისტოლეტიდან. ასევე, ხდება ცნობილი, რომ სასწრაფო დახმარების ბრიგადამ შემთხვევის ადგილზე მისვლა დააგვიანა და შედეგად, მძიმედ დაჭრილი ლაშა მახარაძე მეგობრის ავტომობილით გადაიყვანეს სამედიცინო დაწესებულებაში. მახარაძე საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. მას გულის აორტა ჰქონდა დაზიანებული და მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

შსს-ს განცხადებით, საქმე გახსნილია, მკვლელის ვინაობა ცნობილია და ტარდება ღონისძიებები მის დასაკავებლად.

მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას ითვალისწინებს. (ნიუპოსტი)

## „სევდია უგრეხელიძეს, ირაკლი აბესაძესა და ნიკა მელიას საკმაოდ დიდი მადა ჰქონიათ“




დედაქალაქის მერის, დავით ნარმანიას განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები სევდია უგრეხელიძე, ირაკლი აბესაძე და ნიკა მელია, იმ ყოფილი ჩინოვნიკების რიცხვში შედიან, რომლებიც მაღალ პრემიებს იღებდნენ და იმ შემთხვევაში თუ „ნაციონალური მოძრაობა“ პრემიების აღების შესახებ ინფორმაციას არ გამოაქვეყნებს, მაშინ ამას „ქართული ოცნება“ გააკეთებს. (რეპორტიორი)

## „თენგიზ კიტოვანი მოქალაქეობის მიღებას შეძლებს“




იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი თენგიზ კიტოვანისთვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხს ეხმაურება:

„მან ვერ შემოიტანა ყველა ის საბუთი, რომელიც განაცხადის წარმოებისთვის არის საჭირო, შესაბამისად, ეს საკითხი ღიად არის დარჩენილი. თუ მას ექნება მომავალში სურვილი, შემოიტანოს საბუთები, ნებისმიერი მოქალაქისთვის კანონი არის ერთი და იგივე“. – განაცხადა წულუკიანმა. (რეპორტიორი)

## დედა-შვილი მძარცველებმა ცხელი უთოთი და სამართებლით აწამეს



ყაჩაღური თავდასხმა მოხდა ვანის რაიონის სოფელ ფერეთაში. არველაძეების ოჯახს 4 უცნობი პირი თავს გვიან ღამით დაესხა. ოჯახში მხოლოდ დედა და მცირეწლოვანი შვილი იმყოფებოდნენ. თავდამსხმელებმა დედა-შვილი სამართლებლითა და ცხელი უთოთი აწამეს. ჯერ დედა დასერეს სახეზე, შემდეგ კი მძინარე ბავშვს გახურებული უთოთი დაუწვეს კიდურები. ისინი ქეთევან არველაძისგან ფულს ოთხოვდნენ. ოჯახში ოქროს ნივთების პოვნის შემდეგ კი მძარცველები გაიქცნენ.

ნაწამები ქალის თქმით, ერთ-ერთმა მძარცველმა მისი ბიძაშვილის სახელი ახსენა, რომელმაც, სავარაუდოდ, მათი ოჯახის ფინანსურ მდგომარეობაზე მიაწოდა ინფორმაცია. დედა-შვილის მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია, პოლიცია შემთხვევის ადგილზე მძარცველების გაქცევის შემდეგ მეზობლებმა გამოიძახეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ვანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, მომხდარ ყაჩაღობასთან დაკავშირებით 1993 წელს დაბადებული ალექსანდრე რ. დააკავეს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სოფო მოსიძე თანამდებობიდან გადადგა



საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის უფროსი და „მოამბის“ წამყვანი სოფო მოსიძე თანამდებობიდან გადადგა და ტელევიზია დატოვა. ამის შესახებ ინფორმაციას „პირველი რადიო“ ავრცელებს.

„გადაწყვეტილების შესახებ მოსიძემ თანამშრომლებს აცნობა, თუმცა წასვლის მიზეზი არ დაუსახელებია. ჯერჯერობით უცნობია, ვინ შეცვლის მოსიძეს“. (ფრონტნიუსი)

## მე-10 საუკუნის გერის წმინდა გიორგის ეკლესიაში ქართულ კვალს შლიან



ოკუპირებული ცხინვალის ტერიტორიაზე მდებარე მე-10 საუკუნით დათარიღებულ გერის წმინდა გიორგის ეკლესიას იერსახეს უცვლიან. სარესტავრაციო სამუშაოებს ალანიის ეპარქია რუსი სპეციალისტების დახმარებით ატარებს. ტაძარი, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის შემადგენლობაში შედის, სადღეისოდ ნახევრად არის დანგრეული და ხარაჩოებშია ჩასმული.

ადგილობრივი მედიის ცნობით, სამრეკლოს მოხსნის შემდეგ ტაძრის ინტერიერის რესტავრაციასაც გეგმავენ.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შიშობენ, რომ აღდგენითი სამუშაოები ძეგლს მნიშვნელოვნად დააზიანებს.

„გერის წმინდა გიორგი ერთ-ერთი უდიდესი სალოცავია. მთელი შიდა ქართლის მოსახლეობა იქ ადის ხოლმე სალოცავად. უკვე წარმომიდგენია რა შედეგებით დასრულდება ეს რესტავრაცია. მოგეხსენებათ, ეს ოკუპირებული ტერიტორიაა და ერთადერთი საშუალება გვრჩება – მსოფლიოს გავაგებინოთ, რომ ასეთი რამ ხდება“, – განაცხადა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი გაგოშიძემ.

ცნობისთვის, ეკლესია არაერთხელ იყო რესტავრირებული. სწორედ აქ იყო დაცული წმინდა გიორგი წმინდა ნაწილიც. კედლებზე რამდენიმე ფრესკა ჯერ კიდევ არის შემორჩენილი, თუმცა დანარჩენი ნაწილი თეთრადაა შეღებილი. რუსული ოკუპაციის შემდეგ, ტაძრის ეზოში რუსული წესით სანათლავიც მოეწყო. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ქართული ძეგლებში ქართული კვალის წაშლას ცდილობენ. (ფრონტნიუსი)




## „ევრაზიული არჩევანის“ წევრებსა და მათ მოწინააღმდეგეებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა

ზუგდიდის ცენტრში „ევრაზიული არჩევანის“ წევრებს ადგილობრივმა მოსახლეობამ და „თავისუფალმა ზონამ“ ნატოს საწინააღმდეგო აქციის ჩატარების საშუალება არ მისცა. აქციის მონაწილეებს წაართვეს პლაკატები, ისინი ერთმანეთს სიტყვიერად და ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. სამართალდამცველებმა „თავისუფალი ზონის“ ოთხი წარმომადგენელი და ერთი მოქალაქე დააკავეს.

„გვქონდა მშვიდობიანი აქცია „არა ნატოს“. ტარდება თბილისში, გორში, ბათუმში. ობამამაც თქვა, მერკელმაც და მეტმა ვინ უნდა უთხრას ამ „ნაცებსა“ და „ზონდერებს“, რომ არავინ მიგვიღებს ნატოში. „ევრაზიულ კავშირს“ უნდა დავუახლოვდეთ, უნდა მოვეფეროთ რუსეთს, რომ დავიბრუნოთ ჩვენი ტერიტორიები“, – განაცხადა „ევრაზიული არჩევანის“ წევრმა ზაზა არხანიამ. (ინტერპრესნიუსი)

## უკრაინა რუსეთთან კედლის აშენებას გეგმავს



ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა არსენი იაცენიუკმა უკრაინის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„ჩვენ ვიწყებთ პროექტს „კედელი“. ეს არის რეალური კედლის მშენებლობა უკრაინა-რუსეთის საზღვარზე“, – განაცხადა იაცენიუკმა.

გარდა ამისა, მისივე თქმით, უკრაინას თავდაცვის ახალი დოქტრინა სჭირდება, რომელშიც რუსეთი მოხსენიებული უნდა იყოს, როგორც აგრესორი სახელმწიფო.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც იაცენიუკმა მთავრობის სხდომაზე ისაუბრა, უკრაინის ნატოსთან ურთიერთობა იყო. პრემიერ-მინისტრის თქმით, უკრაინის მიზანია, ნატოს №1 განსაკუთრებული პარტნიორის სტატუსი მოიპოვოს. მისი აზრით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მხრიდან ყველაზე სწორი იქნებოდა გადაწყვეტილების მიღება უკრაინის ბლოკში გაწევრიანების შესახებ, თუმცა ნატოს შიგნით ამაზე შეთანხმება ძნელი იქნება. (ინტერპრესნიუსი)

## საბერძნეთის ელჩს სააკაშვილის დაკავებაზე კონკრეტული ინფორმაცია არ აქვს

საბერძნეთის ელჩი საქართველოში ელეფთერიოს პროიოსის სააკაშვილის საბერძნეთში დაკავებას ეხმაურება და აცხადებს:

„არ მაქვს რაიმე ოფიციალური ინფორმაცია. მხოლოდ ის ვიცი ქართული მედიიდან, რომ სააკაშვილი საპასპორტო კონტროლისთვის გააჩერეს. ორი ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროებს აქვთ ახლო თანამშრომლობა და ორ ქვეყანას შორის არსებობს შეთანხმება სამართლის საკითხებში, თუმცა მე არ ვიცი, რისთვის გააჩერეს მიხეილ სააკაშვილი, იქნებ მხოლოდ საპასპორტო კონტროლისთვის? ვაპირებ, გადავამოწმო ეს ინფორმაცია და ცნობებს ამის შემდეგ გავავრცელებთ“, – განაცხადა ელჩმა. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# ლალი მოროშკინა: „ვამბობდი მკვლელები სააკაშვილისგან ზარს ელოდებიან-მეთქი. მათ მიიღეს ეს ზარი!“



**სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი მრჩეველი, ლალი მოროშკინა ჯერ კიდევ შარშან ამბობდა „ალიასთან“ ინტერვიუებში, რომ სააკაშვილის მიერ შეწყალებული მკვლელები, პედოფილები და ყაჩაღები მის ზარს ელოდებოდნენ და როგორც კი მითითებას მიიღებდნენ, ქვეყანაში ეგრევე დაიწყებოდა მკვლელობების სერიები. როგორც ჩანს, ეს დროც დადგა — დღე არ გადის, ერთი-ორი ახალგაზრდა არ მოკლან ქუჩაში.**

**რასთან გვაქვს კონკრეტულად საქმე და რას უნდა ველოდოთ უახლოეს ხანში, ამაზე „ალიას“ თავად ლალი მოროშკინა ესაუბრება:**

**„სააკაშვილზე ირონიით იმის თქმა, რომ ის არის გუშინდელი დღე და შარშანდელი თოვლი, არის აბსოლუტურად მცდარი“**

– ჩვენ გვაქვს საქმე დაახლოებით იგივე სცენართან, რაც იყო „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში. „ნაციონალებისთვის“ გამეორება ცოდნის დედაა, ამ გზას დაადგა სააკაშვილი. ალბათ, გახსოვს, მიშა ამბობდა, მე რომ ვყოფილიყავი ჩემივე მთავრობის ოპოზიცია, სამ თვეში ავაყირავებდიო. ეს არ არის დასამალი, სააკაშვილი, როგორც ოპოზიციონერი, გაცილებით ეფექტურია ინტრიგების ხლართვაში. ზოგიერთი ფიქრობს, რომ მისი აქტიურობა შიდა მოხმარებისთვისაა გამიზნული, მე წავიკითხე რამდენიმე ანალიტიკური წერილი, სადაც გამოთქმულია აზრი, თითქოს სააკაშვილი ცდილობს, ჩვენ გვანერვიულოს, ხელისუფლება ანერვიულოს, პრემიერ-მინისტრი ანერვიულოს და ასე შემდეგ. მე ასე მარტივად არ შევხედავდი მოვლენებს... ხელისუფლება სწორედ მაშინ უშვებს ხოლმე შეცდომებს, როცა არ ხდება გააზრება, ვინ გვყავს მტერი. ამიტომ, სააკაშვილზე ირონიით იმის თქმა, რომ ის არის გუშინდელი დღე და შარშანდელი თოვლი, არის აბსოლუტურად მცდარი. სხვათა შორის, „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში მე მისი პიარი ვიყავი და მისი ხასიათიდან გამომდინარე, აშკარად ვხედავ, როგორაა მოყოჩაღებული. ჯერ ერთი, 2003 წელს იყო ახალგაზრდა, გამოუცდელი და მეორე – არც ამდენი ფინანსები ჰქონდა. კარგად მახსოვს, „ვარდების რევოლუციამდე“ ძალიან ბევრი მას სერიოზულ ოპონენტად არ აღიქვამდა, მაგრამ რაც მოხდა, კარგად ვნახეთ. გარდა ამისა, ყველაზე საშიში დღეს არის ის, რომ „ნაციონალებს“ და თავად სააკაშვილს ურთიერთობები აქვთ სტრასბურგში, ბრიუსელსა და ამერიკაში. ამაში ნურავინ შემეკამათება, საკუთარი თვალით ვნახე და საკუთარი ყურით მოვისმინე სტრასბურგში, რა დამოკიდებულება აქვთ მის მიმართ ევროპელ პოლიტიკოსებს – ზოგიერთს არც კი ერიდება, ძალიან ღიად უჭერს მხარს. უნდა ვაღიაროთ, „ნაცმოძრაობამ“ ამ მიმართულებით ძალიან ბევრი იმუშავა. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით კოალიციაზე.



**„გამოთქმულია აზრი, თითქოს სააკაშვილი ცდილობს, ჩვენ გვანერვიულოს, ხელისუფლება ანერვიულოს, პრემიერ-მინისტრი ანერვიულოს და ასე შემდეგ. მე ასე მარტივად არ შევხედავდი მოვლენებს... ხელისუფლება სწორედ მაშინ უშვებს ხოლმე შეცდომებს, როცა არ ხდება გააზრება, ვინ გვყავს მტერი“**

ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ ძალიან მნიშვნელოვან ფაქტს: საქართველოში ყოველდღიურად კეთდება მედიამონიტორინგი, კეთდება ანალიზი, იკრიბება ინფორმაცია და ეს ყველაფერი ოპერატიულად მიეწოდება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს, ევროკავშირსა და ასე შემდეგ. რა „ნიუსები“ გადის ქვეყნიდან? ის, რაზეც „ნაციონალები“ ლაპარაკობენ – საქართველოში მიმდინარეობს პოლიტიკური დევნა, მოიმატა კრიმინალმა, უსამართლოდ დევნიან ყოფილ პრეზიდენტს და ასე შემდეგ. აი, ამას უნდა მიაქციოს ყურადღება ხელისუფლებამ და თავისი საინფორმაციო მანქანაც გაააქტიუროს. კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი – „ნაციონალები“ ასევე აქტიურებენ ახალგაზრდებს, რომელთა შორისაც ჩემი ყოფილი სტუდენტებიც ამოვიცანი. ხაზგასმით ვამბობ, ესენი არ იყვნენ ჩამორჩენილი სტუდენტები, მაჩანჩალა ბავშვები, სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის, როგორი ახალგაზრდები უნდა გადაიბიროს და ვინ გამოიყენოს. მიშა სააკაშვილმა ამ მეთოდის გამოყენება ჯერ კიდევ ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაიწყო. მე მქონდა ჩემს ორ ყოფილ სტუდენტთან საუბარი, ისინი ფსიქოლოგიურად არიან უკვე მოწამლულები. ისინი ამტკიცებენ, რომ რაც წინა ხელისუფლებამ ჩაიდინა, ეს გზა გასავლელი იყო, შეცდომები დაუშვეს ცალკეულმა თანამდებობის პირებმა, მაგრამ, როცა სააკაშვილი მობრუნდება, ეს შეცდომები აღარ იქნება დაშვებული. ამ ყმაწვილებზე მიდის ძალიან სერიოზული იდეოლოგიური მუშაობა, აქ მთლად ფულიც არ არის გადამწყვეტი.

**„მე მქონდა ჩემს ორ ყოფილ სტუდენტთან საუბარი, ისინი ფსიქოლოგიურად არიან უკვე მოწამლულები. ისინი ამტკიცებენ, რომ რაც წინა ხელისუფლებამ ჩაიდინა, ეს გზა გასავლელი იყო, შეცდომები დაუშვეს ცალკეულმა თანამდებობის პირებმა, მაგრამ, როცა სააკაშვილი მობრუნდება, ეს შეცდომები აღარ იქნება დაშვებული. ამ ყმაწვილებზე მიდის ძალიან სერიოზული იდეოლოგიური მუშაობა, აქ მთლად ფულიც არ არის გადამწყვეტი“**

**— არა, დიდ ფულსაც რომ ხარჯავენ, ესეც ცხადია.**

– „ნაციონალები“ ფულს ხარჯავენ პიარკურსებზე, ტრენინგებზე, ტვინების გამორეცხვაზე და ასე შემდეგ. ესენი ისეთ რაღაცებს აკეთებენ, სამართლებრივი თვალსაზრისით ვერ აკრძალავ. ამიტომ არის საჭირო ასევე

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ვაკეში საცხოვრებელი სახლი დაიწვა




თბილისში, უჩანეიშვილის ქუჩაზე კერძო სახლი დაიწვა. ცეცხლის ლოკალიზება მალევე შეძლეს, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. უჩანეიშვილის 16 ნომერში მცხოვრები ორი ოჯახი უსახლკაროდ დარჩა.

ხანძრის გაჩენის სავარაუდო მიზეზად ძველი ელექტროსადენები სახელდება. დაზარალებული მოსახლეობა თავშესაფრის მოლოდინშია. შემთხვევის ადგილზე ვაკის რაიონის გამგებელიც იმყოფებოდა, რომელიც ოჯახს დახმარებასა და დროებითი საცხოვრებელი ფართის დაქირავებას დაჰპირდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## აგვისტოში ვიზიტორთა რაოდენობამ იკლო




შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი ვიზიტორთა სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს:

2014 წლის აგვისტო 772 216 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2013 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 0,5%-ით ნაკლებია.

ამასთანავე, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია:

ა) ტურისტი – 1 566 646 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 42,5%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 12%);

ბ) ტრანზიტი – 698 284 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 19%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან -10%);

გ) სხვა – 1 420 904 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 38,5%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 0,7%).

2014 წლის აგვისტოში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (-5,5%), აზერბაიჯანიდან (+29%), სომხეთიდან (-12,2%), რუსეთიდან (-7%) და უკრაინიდან (+22,9%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-აგვისტოშიც კვლავ ტრადიციულად გამოირჩნენ: ლიტვა, პოლონეთი, ესპანეთი, ლატვია და ნიდერლანდები (შესაბამისად 91%, 40%, 17%, 17%, და 14%), შუა აზიის ქვეყნებიდან – ყაზახეთი (40%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან კი ბელორუსის მოქალაქეები 50% მატებით. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

იდეოლოგიურად მოქმედება მოსახლეობაზე, კეთილგანწყობის მოპოვებაზე, რასაც დღეს არ აკეთებს „ქართული ოცნება“. ჩვენ ვუახლოვდებით სახიფათო მომენტს, უკვე დაწყებულია იმ ახალგაზრდების აღზევება, რომლებიც არჩევნებისთვის და ათასნაირი პროვოკაციისთვის ემზადებიან. ვისაც დღეს ამის არშემჩნევა აწყობს, გამოდის, რომ ის არის „ნაციონალების“ ხელშემწყობი. დღეს მე ვერავინ მაჩვენებს ადამიანს, რომელიც „ოცნებაში“ შესულია რაიმე იდეის გამო, ან ამ იდეამ გაუხსნა გზა. სამწუხაროდ, ჩვენ მივიღეთ დემორალიზებული მოსახლეობა და უუნარო საპარლამენტო უმრავლესობა. ვაღიაროთ, დღეს მმართველ კოალიციას არანაირი იდეოლოგია არ გააჩნია, იქ მოხვდნენ ადამიანები ერთი კაცის ხათრით, რომლებიც ზრუნავენ თავიანთი კეთილდღეობისთვის. მათ იციან, რომ „წარმატება“ შემთხვევით ეწვიათ, ზოგიერთი დეპუტატი სიზმარშიც ვერ გახდებოდა, ორი წლის შემდეგ არავითარი შანსი აღარ აქვთ პოლიტიკაში და ცხოვრებას იწყობენ.

**— ერთხელ კობა დავითაშვილმა თქვა, სააკაშვილი მუდმივად ჰიტლერის „მაინ კამფ“-ს კითხულობდა, ეს წიგნი მოვპარეო.**

– დიახ, ამას მეც ვადასტურებ, ჰიტლერი ქმნიდა „ჰიტლერ-იუგენდებს“, ანუ ახალგაზრდულ ბანაკებს. გაიხსენე, ასეთივე ბანაკებს ქმნიდა მიშა, მაგრამ ბევრი რამის გაკეთება ველარ მოასწრო. როდესაც სააკაშვილი 9-წლიანი უბედურების შემდეგ ისევ ახერხებს ახალგაზრდების გადაბირებას, ეს უკვე დამაფიქრებელია. მიშას სცენარი უკვე ამუშავებულია, მე ხშირად ვამბობდი ინტერვიუებში, რომ მის მიერ შეწყალებული მკვლელები თავიანთ საქმეს გააკეთებდნენ. მე იმასაც ვამბობდი, ესენი თითის დაქნევას ელოდებიან-მეთქი და აი, ეს დროც დადგა. ახლა გამოძიებამ ყურადღება უნდა მიაქციოს „სკაი ბარში“ მომხდარ მკვლელობას. კარგადაა გასარკვევი, ვინ არის მკვლელი და რა ურთიერთობა ჰქონდა ციხეში ყოფნისას „ნაციონალებთან“ და რას აკეთებდა ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ანუ ვისთან ჰქონდა ურთიერთობები. მე ძალიან ბევრი რამე ვიცი, მაგრამ ყველაფერს ასე ღიად ვერ ვიტყვი, გამოძიებამ თავად უნდა გაარკვიოს, რა კავშირი არსებობს ბოლო მკვლელობებს შორის. მე უკვე ხმამაღლა ვაცხადებ: მკვლელებმა მიიღეს არევის სიგნალი და არ არის გამორიცხული, პარალელურად აბუნტდეს ქუთაისის ციხე. ჩემი ინფორმაციით, იქ ოთხმა პატიმარმა პირი და თვალები ამოიკერა, თან შიმშილობა დაიწყეს. აქედან ქუჩა, იქიდან – ციხე. ხალხის ნაწილი იძახის, მიშას დრო სჯობდაო. არ შემიძლია, არ ვთქვა კიდევ ერთი ფაქტის შესახებ: სამწუხაროდ, დღეს პრემიერ-მინისტრსა და მთავრობას არავინ ეუბნება, რომ ევროპარლამენტი ემზადება რამდენიმე სერიოზული დარტყმისთვის, ეს იქნება სამართლებრივი კუთხით და შეეხება პროკურატურის მიერ დაშვებულ შეცდომებს. ასევე ეხება სასჯელაღსრულების სისტემას, ეს გამოსვლები დანიშნულია 15 სექტემბრისთვის, რაც იქნება ძალიან დიდი დარტყმა ჩვენი ახალგაზრდა ხელისუფლებისთვის. საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს სწორედ ამ კუთხით უნდა ემუშავათ, მაგრამ არ იმუშავეს.



„არ მინდოდა ამისი გახმაურება, მაგრამ ჩემი საუბარი უფრო გასაგები რომ გახდეს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა ვანო მერაბიშვილის საკითხი იქნება. დანარჩენი თავად ხელისუფლებამ უნდა გაარკვიოს. მზადდება რამდენიმე პაკეტი, რაც იქნება ძალიან მძიმე. „ნაცმოძრაობამ“ იმუშავა ევროპარლამენტში, ჩაიტანეს იქ ინფორმაცია. სამწუხაროდ, ამ მხრივ არ იმუშავა კოალიციამ“

**— ლალი, იქნებ დავაკონკრეტოთ, რა დარტყმებზეა საუბარი?**

– ეს ეხება რამდენიმე სამართალდარღვევას. არ მინდოდა ამის გახმაურება, მაგრამ ჩემი საუბარი უფრო გასაგები რომ გახდეს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა ვანო მერაბიშვილის საკითხი იქნება. დანარჩენი თავად ხელისუფლებამ უნდა გაარკვიოს. მზადდება რამდენიმე პაკეტი, რაც იქნება ძალიან მძიმე. „ნაცმოძრაობამ“ იმუშავა ევროპარლამენტში, ჩაიტანეს იქ ინფორმაცია. სამწუხაროდ, ამ მხრივ არ იმუშავა კოალიციამ.

**— რა ვიცი, უმრავლესობის დეპუტატებს რომ ჰკითხო, ყველას თავი უსკდება მუშაობით და უძილობით.**

– ამათი მოგზაურობები უცხოეთში ძირითადად ბარებით, რესტორნებითა და შოპინგებით შემოიფარგლება. შედეგი ჩანს, როგორც მუშაობენ. ჩემი აზრით, მთავრობამ უნდა შექმნას ანტიკრიზისული ჯგუფი, რომელიც იქნება დაკომპლექტებული პოლიტოლოგებით და იმ ადამიანებით, რომლებიც კარგად ერკვევიან სახელმწიფო პიარში. დაუკვირდი, სააკაშვილმა თავისი უბადრუკი პიჯაკებით ნაწილობრივ მძიმე დანაშაულებიც კი გადაფარა. დასაწყისში საუბარი იყო მკვლელობებზე, ქონების მითვისებაზე, მილიონობით დოლარის გაფლანგვაზე და ბოლოს დავედით ბოტოქსებსა და მასაჟებზე. საკითხი უკვე გახდა საშაყირო. აი, ეს არის პიარი, რომელსაც შენ არაფერს უპირისპირებ. ადამიანმა ტერიტორიები ჩააბარა, ხალხი ქუჩაში ხოცა, ციხეებში კაცები აუპატიურებინა, ყოველი ფეხის ნაბიჯზე მოსმენა-თვალთვალი დააწესა და შენ ბოტოქსზე ედავები, რაც ისევ სათავისოდ გამოიყენა? მოდი, დავუბრუნდეთ ახლა იმ ინტერვიუს, სადაც მე გეუბნებოდი, სააკაშვილმა პედოფილები და მკვლელები შეიწყალა-მეთქი. რატომ არაფერს ამბობს ამაზე დღევანდელი მთავრობა, რატომ არავინ ინტერესდება ამ ფაქტით? აგერ, მოკლეს დიჯეი დაჩი დარჩია, რომელიც ჩემი ახლობელი ადამიანი იყო... აგერ მოკლეს ვაკეში ლაშა მახარაძე და ირკვევა, რომ ეჭვმიტანილი მკვლელობისთვის იყო გასამართლებული. გასარკვევია, ეს ადამიანები ამნისტიის შედეგად გამოსულები არიან თუ მიშა სააკაშვილმა შეიწყალა თავის დროზე? ნახე, ახლა სწორედ „ნაციონალები“ ყვირიან, არიქა, კრიმინალმა იმატაო, ხალხს ქუჩაში ხოცავენო. გაიხსენე, მე გეუბნებოდი, მკვლელები ზარს ელოდებიან-მეთქი. მათ მიიღეს ეს ზარი და საიდან იმართებიან, ამის თქმაც შემიძლია, მაგრამ ჯერ ყველაფერი უნდა დავაზუსტო დეტალურად. მეტიც, „ზონდერბრიგადები“ ისევ მოქმედებენ და ჩვენ ვიცით, საიდანაც იმართებოდნენ ისინი. რატომღაც არ გვინდა დაჯერება, მაგრამ ქვეყანაში არეულობა დაწყებულია, დღე არ გავა, ვინმე არ გააგორონ ქუჩაში, მეტი რაღა უნდა გააკეთონ „ნაციონალებმა“, მაინც და მაინც სახლებში უნდა შემოგვიცვივდნენ, რომ ხელისუფლება რამეს მიხვდეს? კიდევ ერთხელ ვიმეორებ: სრულდება სააკაშვილის დავალება მის მიერვე შეწყალებული მკვლელების ხელით. ნახე, რა ოსტატურად გარიეს ერთ მკვლელობაში ეკა ბესელიას შვილი, „ნაციონალებს“ ამუშავებული აქვთ სიცრუის მანქანა – მე დაგაბრალებ და შენ მიდი და იწმინდე ნამუსი. ეს არის სააკაშვილის იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი პოსტულატი – დააბრალე, ტალახში ამოსვარე, დანარჩენი უკვე აღარ არის საინტერესო. მე ძალიან კარგად ვიცი სააკაშვილის იდეოლოგია, ჰიტლერის „მაინ კამფ“ მისი სამაგიდო წიგნია. ეს ადამიანი ანალოგიებს იღებს. შურისძიება ისეთი გრძნობაა, შეიძლება ეშმაკსაც კი შეეკრა და მთები გადაგადგმევინოს.



„სრულდება სააკაშვილის დავალება მის მიერვე შეწყალებული მკვლელების ხელით. ნახე, რა ოსტატურად გარიეს ერთ მკვლელობაში ეკა ბესელიას შვილი, „ნაციონალებს“ ამუშავებული აქვთ სიცრუის მანქანა – მე დაგაბრალებ და შენ მიდი და იწმინდე ნამუსი. ეს არის სააკაშვილის იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი პოსტულატი – დააბრალე, ტალახში ამოსვარე, დანარჩენი უკვე აღარ არის საინტერესო“

**— აქ ერთი მომენტია, ჯერ ერთი, მთავრობაში უკვე შექმნილია ანტიკრიზისული და უსაფრთხოების საბჭო, თუ ამ მოვლენებთან დაკავშირებით კიდევ შეიქმნება რაიმე ანტიკრიზისული სტრუქტურა, მაშინ ხელისუფლებამ უნდა აღიაროს, რომ ქვეყანაში კრიზისია.**

– უნდა ვაღიაროთ, არ არის კრიზისი? ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელი, ამ კრიზისს ქმნიან „ნაციონალები“. გარდა ამისა, ძალიან სერიოზული გარღვევაა კადრებში. თუ პრობლემა დროზე არ დავინახეთ, არჩევნები კარსაა მომდგარი, სადაც მივალთ აპათიურ მდგომარეობაში.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## „ნაციონალებს“ შემოუტანოთ „ბილობილი“, პირი გავაღებინოთ და ძალით დავალევინოთ“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის შოთა ნიშნიანიძის თქმით, უმცირესობას სარფში წასვლის ნაცვლად ცოტა უნდა მოეცადა და ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მთავრობა გალიით ჩამოუყვანდა აქ.



„იმედი მქონდა, ჩვენი უმცირესობა ცოტა მაინც მოეგებოდა გონს და შეიცვლებოდა მათი რიტორიკა. მათი რიტორიკა კიდევ უფრო აგრესიული გახდა, მათი დამოკიდებულება თუნდაც ქვეყანაში მიღწეული გარკვეული წარმატებების მიმართ არის დესტრუქციული. დიდი იმედი არც მქონდა მათი გამოსწორების. ეს დამნაშავეები როგორც გოშიები, ისე ეახლნენ მიხეილ სააკაშვილს სარფში და ქვეყნის დამაქცევარ კაცს კუდებს უქიცინებდნენ იქ. ამის შემდეგ რა უნდა იფიქროს ამათზე საქართველოს მოსახლეობამ. თქვენ გგონიათ, ქართველ მოსახლეობას რამე დაავიწყდება? თქვენ უფრო გაქვთ სკლეროზი და ჩემი თხოვნა იქნება, ჩემი ხელფასიდან შემოვიტანოთ „ბილობილი“, ნებით თუ არა, ძალით გავაღებინოთ პირი და ძალით დავალევინოთ ეს წამალი, რომ იქნებ გამოფხიზლდნენ. ჩემო კარგებო, მე მიმაჩნია, რომ ერთი კაი დიდი ცოცხი მართლაც საჭიროა, მაგ საქმისთვის არა, თქვენ რომ გაიფიქრეთ, იმისთვის არის საჭირო, რომ თქვენ ჩაგცოცხოთ და პოლიტიკურ სანაგვეზე გადასაყრელები ხართ“, – განაცხადა ნიშნიანიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## 20 წლის ჯარისკაცი გარდაცვლილი იპოვეს



საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 20 წლის გიორგი ასანიძე გარდაცვლილი იპოვეს, მას ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობა თავის არეში აქვს მიყენებული.

„საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს წვევამდელი გიორგი გიორგის ძე ასანიძის დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს. გიორგი ასანიძე ნაპოვნი იქნა სამხედრო ნაწილის მორიგის მიერ. მას ჭრილობა თავის არეში ჰქონდა მიყენებული, რის შემდეგაც, წვევამდელი გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში. თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. გამოძიება დაწყებულია, საქმე აღძრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით – თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე. საქმეში სამხედრო დანაშაული არ იკვეთება.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო სამმართველო მთავარი პროკურატურის უშუალო ზედამხედველობით აწარმოებს. 1994 წელს დაბადებული გიორგი ასანიძე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2013 წლიდან ირიცხებოდა. ის საქართველოს შეიარაღებული ძალების გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა მომზადების სკოლაში სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა. თავდაცვის სამინისტრო სრულად დაფარავს წვევამდელის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ხარჯებს“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

# აფიორა თუ დასაქმების რეალური შანსი?

## „უმუშევართა დასაქმების სააგენტო“ 5 სექტემბრიდან უმუშევართა რეგისტრაციას იწყებს

**ინტერნეტსივრცეში საზოგადოებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე — დასაქმებაზე ასეთი შინაარსის ინფორმაცია გავრცელდა: „2014 წლის 5 სექტემბრიდან, „საქართველოს ეკონომიკური რეაბილიტაციის ცენტრის“ ბაზაზე, ფუნქციონირებას იწყებს „უმუშევართა დასაქმების სააგენტო“, რომლის ძირითადი მიზანიც ქვეყანაში დასაქმების პრობლემის გადაჭრის ხელშეწყობაა. იქმნება ერთიანი სრულყოფილი მონაცემთა საერთო ბაზა, სადაც დარეგისტრირდებიან სამუშაოს მაძიებლები. სააგენტო სამუშაო ადგილების მოძიების მიზნით, უკვე თანამშრომლობს მთელ რიგ სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებთან“.**

**უმუშევრებმა დასაქმებისთვის, სპეციალურ ფასიან ნომერზე 0 900 100 126 უნდა დარეკონ.**

**კარგად გვახსოვს, წლების წინათ დასაქმების სხვადასხვა ცენტრები სამსახურის მოძებნაში ფულს რომ ახდევინებდნენ და მშრალზე ტოვებდნენ. ამიტომ ალია“ დაინტერესდა, რა ორგანიზაციაა „საქართველოს ეკონომიკური რეაბილიტაციის ცენტრი“? რის საფუძველზე ჰპირდება მოსახლეობას დასაქმებას? რატომ არის საჭირო უმუშევარი ადამიანის რეგისტრაციისთვის მაინცდამაინც ფასიან ნომერზე დარეკვა? რა არის სინამდვილეში ეს წამოწყება, დიდი აფიორა, თუ დასაქმების რეალური შანსი?**

**საკითხში გასარკვევად „ალია“ „საქართველოს ეკონომიკური რეაბილიტაციის ცენტრის“ აღმასრულებელ დირექტორს, ИОСЕБ ღვარძელაშვილს დაუკავშირდა:**

– გვაქვს ძირეული პროექტი, რაც მცირე სასტარტო ბიზნესის ხელშეწყობას გულისხმობს. პროექტი 2009 წელსაა დაწერილი. მოსახლეობა ბიზნესიდეებით მოდის. მათ ვუსმენთ და თუ კარგი პროექტი აქვთ, ვეხმარებით საქმიანობის დაწყებაში. ჯერ კიდევ წელიწად-ნახევრის წინ გავაკეთეთ მიმართვები და ყველა სახელმწიფო ინსტანციას მივმართეთ, რომ ეს პროექტები დაფინანსებულიყო.

**— რას ითხოვდით სახელმწიფო ინსტანციებისგან?**

– ბიუჯეტის სუბსიდირებას მოვიაზრებდით. ჩვენ ძირითადად დაუსაქმებლები მოგვმართავენ, მათი რიცხვი ოფიციალურად 480 ათასია, რომლებიც ყოველთვიურად სახელმწიფოსგან 60 ლარის ოდენობის დახმარებას იღებენ. მათ მიერ სასტარტო ბიზნესის წამოწყების შემთხვევაში, მათთვის გადასახდელი თანხა სახელმწიფოს გამოუთავისუფლდებოდა, რითაც სახელმწიფოც შვებას იპოვიდა და ეს ხალხიც დასაქმდებოდა.

**— რამ შეუშალა ხელი ამ პროექტის განხორციელებას, ან რამდენად რეალურია საერთოდაც მისი განხორციელება?**

– მერწმუნეთ, რეალურია. პირადად შევხვდი პარლამენტის საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ონოფრიშვილს, რამდენიმე დამოუკიდებელ ექსპერტს, საქმის კურსში ჩავაყენე მთელი დიპლომატიური კორპუსი, რომელთაგანაც წერილობითი დადებითი დასკვნები მაქვს, თუმცა შედეგი არის ნული. როგორც ერთ-ერთმა ძალიან ცნობილმა ეკონომიკის ექსპერტმა პირად საუბარში მითხრა, ამ პროექტს არც დაგიწუნებენ, მაგრამ არც განგახორციელებინებენ, რადგან „დირიჟორის“ ხელის აქნევააო საჭირო.



იოსებ ღვარძელაშვილი

**— ვინ არის ეს „დირიჟორი“?**

– მან არ დამიკონკრეტა, მაგრამ ეჭვი მაქვს, ეს არის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი.

**— რა ინტერესი აქვს მას უარის სათქმელად?**

– უბრალოდ, არ სურს.

**— რა ღირს თქვენი მომსახურებით სარგებლობა?**

– ამ საქმიანობაში ფულს არ ვიღებთ.

**— აბა, რა არის თქვენი დაინტერესება, რისთვის წვალობთ ამდენხანს?**

– იგივე მკითხეს ეკონომიკის სამინისტროში... ვერ იგებენ, რომ ხალხს დახმარება სჭირდება და ჩვენ ეს შეგვიძლია, უანგაროდ ვაკეთოთ. არ მინდა ხელისუფლებასთან კონფრონტაციაში შევიდე, მაგრამ ერთ რამეს ვიტყვი – ცოტა ხნის წინ, ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა რომ „ექსპოჯორჯიაში“ პროექტი „აწარმოე საქართველოში“ წარადგინა, ამ პროექტის ანალოგი, 2009 წელს, ამ მთავრობის ჩანასახიც რომ არ არსებობდა, მაშინაა შედგენილი ჩემ მიერ. ბგერა ბგერას ჰგავს და ნოტი – ნოტს. მე თავის დროზე, ეს პროექტი არ დავმალე, დავაპატენტე, ყველა სამთავრობო სტრუქტურას მივაწოდე, რომ შეესწავლათ და რეკომენდაციები გაეცათ. ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, ამ პროექტს მე განვახორციელებ, ღარიბაშვილი თუ სხვა ვინმე. მთავარია, საქმე გაკეთდეს. დავაკვირდები, რას გააკეთებენ, თუ გარკვეული პერიოდის შემდეგ არანაირი ძვრა არ იქნება, მე ამაზე მწვავე რეაქცია მექნება და დავიცავ ჩემს საავტორო უფლებებს. ყველა მტკიცებულება ხელთ მაქვს.

**— თქვენი საქმიანობა გასაგებია, ასე თუ ისე... უშუალოდ დასაქმების საკითხზე გვითხარით...**

– „დასაქმების სააგენტოს“ მოვიაზრებთ ორგანიზაციად, რომელიც სოციალური სტატუსითაა აღჭურვილი. გათვლილია სოციალურად დაუცველებისთვის. „უმუშევართა დასაქმების სააგენტოც“ სოციალურად დაუცველებითაა დაკომპლექტებული. ორგანიზაცია ნახევრად კომერციულია, რაც ცოტა უხერხული სიტყვაა, მაგრამ ამ გადმოსახედიდან საჭირო გახდა. „მაგთიკომთან“ გვაქვს გაფორმებული ხელშეკრულება, აღებული გვაქვს ფასიანი ნომერი, ზარის ღირებულება 1 ლარია.

**— თუ სოციალურად დაუცველების დახმარება გინდათ, ფასიანი ნომერი რატომ აიღეთ, ქალაქის ტელეფონი რატომ არ მიუთითეთ, ან ოფისის მისამართი?**

– მანდ ზუსტი გათვლები გვაქვს. კვლევები ჩავატარეთ, დასაქმების მსურველი რომ ქალაქის ერთი თავიდან ქალაქის მეორე ბოლოში მოვიდეს, რეალურად მას მეტი თანხა დაეხარჯება, ვიდრე 1 ლარია. ამ თანხიდან კი, ჩვენამდე, მხოლოდ 40 თეთრი აღწევს.

**— სად მიდის ეს თანხა? თქვენ ხომ არაკომერციული იურიდიული პირი ხართ, კანონის თანახმად, თქვენ კომერციული საქმიანობა გეკრძალებათ...**

– ეს თანხა სააგენტოს მომსახურე პერსონალის ხელფასებში დაიხარჯება. კანონს არ ვარღვევთ. სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის, 25-ე ნაწილში გაწერილია, რომ არასამეწარმეო-არაკომერციულ იურიდიულ პირს აქვს უფლება კომერციული საქმიანობისა, თუ ამ მოგებას მოახმარს ორგანიზაციის მიზნებსა და საქმიანობას.

**— თქვენ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში წერთ, რომ თანამშრომლობთ სამთავრობო უწყებებთან. იქნებ დაგვისახელოთ, კონკრეტულად რომელ უწყებებს გულისხმობთ.**

– შეთავაზება გავუგზავნეთ ყველა კომერციულ და სახელმწიფო უწყებას, რომ გამოგვიგზავნონ ინფორმაცია ყველა ვაკანტური თანამდებობის შესახებ. მათგან კი პასუხი არ მიგვიღია. იმედი მაქვს, შემოგვეხმიანებიან.

**— რაში სჭირდებათ მათ თქვენს ორგანიზაციასთან თანამშრომლობა, ისინი ხომ ისედაც აცხადებენ კონკურსებს და ამ კონკურსის საფუძველზე იღებენ ახალ კადრებს?**

– ისინი რასაც აკეთებენ, ეს არის ერთ წრეზე სიარული. კანონი ავალდებულებთ მათ ამ ვაკანსიების გამოცხადებას.

**— 5 სექტემბრიდან რომ რეგისტრაციას დაიწყებთ, იმ დაუსაქმებლისთვის, 1 და 2 ლარიც რაღაცას ნიშნავს. რომ არ მიიღოთ ინფორმაციები ვაკანსიებზე, რა სამსახური უნდა შესთავაზოთ ამ ადამიანებს? რა გამოდის, რასთან გვაქვს საქმე, აფიორაა?**

– არ მგონია, რომ არ მომაწოდონ ვაკანსიები.

**— რა გარანტია გაქვთ, ბატონო იოსებ?**

– გარანტიები არ არსებობს...

**— მიმართვები როდის გადაგზავნეთ?**

– 2 კვირის წინ, 10 სამუშაო დღე უკვე გასულია, მაგრამ ვაკანსიების მოძიებას დრო სჭირდება და მე იმედი მაქვს, რომ ამიტომ აგვიანებენ პასუხს. მაგრამ თუ სხვა რამ აჩერებთ მათ, მაშინ ამ დღეებში ბრიფინგს გავმართავთ და ასე „ვუმკურნალებთ“ მათ.

**— დასაქმების მსურველს რომ მოუნდეს თქვენთან მოსვლა, სად უნდა განახოთ?**

– ოფისი არ გვაქვს, ოფისის გარეშე ვაკეთებთ ამ საქმეს. ბრიფინგი რომ ვახსენე, აი, იმ ბრიფინგის შემდეგ ველოდებით სპონსორის მხრიდან დაფინანსებას, მეგობარი ადამიანია და ის მოგვცემს ოფისის ფულს

**— იმ „მეგობარ სპონსორს“ რა ინტერესი ამოძრავებს?**

– არაფერი. ისე, უბრალოდ... გვინდა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილურობა იყოს.

**P.S. „ალია“ შეეცადა, მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია მოეწოდებინა თქვენთვის, ჩადგებით თუ არა დასაქმების მომლოდინეთა რიგებში, გადაწყვეტილება თქვენი მისაღებია...**

**დიანა ლიპარტელიანი**

571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## ათონელი ბერების წინასწარმეტყველება: რა ელის უკრაინასა და რუსეთს



ითვლება, რომ ათონელი უხუცესი ბერების ბაგეებით ჩვენ მოგვმართავს უფალი და ბერების სიტყვები არის ჭეშმარიტება. უხუცესები ალაპარაკდნენ ევროპის შუაგულში გაჩაღებულ ომზე, რა მომავალი ელის უკრაინასა და რუსეთს.

ბერებმა უკრაინას უწინასწარმეტყველეს უმძიმესი პერიოდი, რომელიც აუცილებლად დასრულდება ძლიერი სახელმწიფოს შექმნით: „უკრაინას ელოდება მძიმე პერიოდი, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება – ღვთის ნებით მას უწერია ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, მსგავსი კიევის რუსეთისა, რამეთუ სულიწმინდა არის კიევთან და ეს განაპირობეს ადამიანებმა. გასული ათწლეულები იყო ამ დიდი ხალხის ლეთარგიული ძილის პერიოდი“, – ნათქვამია წინასწარმეტყველებაში.

ათონელი ბერების სიტყვებით, რუსეთს დიდი იზოლაცია და კრახი ელოდება, ხოლო მათი მეფე ტახტს მხოლოდ 2 წელი შეინარჩუნებს. „რუსეთი, მიუხედავად მისი სურვილისა, ააღორძინოს ახალი იმპერია, კრახს განიცდის. მას ელოდება იზოლაცია და ავტოკრატია, მაგრამ რუსი მმართველი ტახტს მხოლოდ 2 წელი შეინარჩუნებს და წავა სამარცხვინოდ. თავად რუსეთი განაგრძობს არსებობს, მაგრამ უკვე სამხრეთ-აღმოსავლეთის მიწების გარეშე. უმრავლესობა რუსული პროვინციებისა, განთავისუფლდებიან მოსკოვის „მზრუნველობისგან“ და რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში დარჩებიან, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები“, – ამბობენ ბერები. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## პუტინი და პოროშენკო ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ



რუსეთის პრეზიდენტი უკრაინის აღმოსავლეთში კრიზისის დარეგულირების მისეულ შვიდპუნქტიან გეგმას ასაჯაროებს. მისი თქმით, ის უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოს ტელეფონით ესაუბრა. პუტინი ამბობს, რომ მისი და პოროშენკოს შეხედულებები კონფლიქტის დარეგულირების გზაზე ერთმანეთთან ახლოს არის. პუტინის თქმით, იმისთვის, რომ სისხლისღვრა შეწყდეს, პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, აუცილებელია, შეწყდეს შეიარაღებული ძალებისა და აჯანყებულების სამხედრო მოქმედებები აღმოსავლეთ უკრაინაში, დონეცკსა და ლუგანსკის მიმართულებით, მეორე – უკრაინის შეიარაღებული ძალები გაყვანილი უნდა იქნეს ისეთ ზონაში, საიდანაც შეუძლებელი იქნება დასახლებულ პუნქტებზე საარტილერიო და ზალპური იერიშის მიტანა, მესამე – საერთაშორისო კონტროლი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაზე და მონიტორინგის დაწესება იმისთვის, რომ შეიქმნას უსაფრთხოების ზონა, მეოთხე – გამოირიცხოს სამხედრო ავიაციის გამოყენება მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ კონფლიქტის ზონაში, მეხუთე – დაკავებული პირების გაცვლა „ყველა ყველაზე“ პრინციპით, მეექვსე – ჰუმანიტარული კორიდორის გახსნა დევნილთა გადაადგილებისა და დონბასში ჰუმანიტარული ტვირთის ჩატანისთვის, მეშვიდე – დონბასში სარემონტო სამუშაოების ჩატარებისთვის სამუშაო ბრიგადების უპრობლემოდ შესვლის უზრუნველყოფა იმისთვის, რომ აღდგენილ იქნას დანგრეული ინფრასტრუქტურა. (პირველი რადიო)

# ძველი პარლამენტის დანგრევის ოფიციალური დოკუმენტაცია გაქრა

## ვის დასჯიან თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფო ქონების განადგურებისთვის

**საქართველოს პარლამენტის ისტორიული შენობა აღდგენილია და სახელმწიფო ბიუჯეტს ეს 22 მილიონი ლარი დაუჯდა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ძველი პარლამენტის დანგრევა და გაპარტახება არ უნდა შერჩენოდათ „ნაციონალებს", მათ დასჯას ითხოვდნენ და ხალხს ჰპირდებოდნენ, მოვალთ ხელისუფლებაში და ყველას მოვთხოვთ პასუხს. დღეს ეს ადამიანები ხელისუფლებაში არიან, მაგრამ რაღაც ვერ ვატყობ დიდ ენთუზიაზმს, რომ დამნაშავეებს საკადრისი მიუზღონ.**

**პარლამენტის შენობის ნგრევის დეტალებზე და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე, „ალიას" საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, გია ცაგარეიშვილი ესაუბრა:**

**— ბატონი გია, არ აპირებთ დასვათ იმ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც პარლამენტის ისტორიული შენობის ნგრევაში მონაწილეობდა?**

– არავის არ შერჩება ამ შენობის დანგრევა. მე ძალიან კარგად მახსოვს, რა დღეში იყო პარლამენტის კაბინეტები, კორიდორები... რამდენჯერმე თავზე დავადექი იმ მუშებს, რომლებიც გამეტებით და ძალზე სწრაფი ტემპით ანგრევდნენ შენობას. ელიავადან ჰყავდათ ეს ხალხი მოყვანილი, დღეში 50 ლარს უხდიდნენ ბიუჯეტიდან და ანგრევინებდნენ შენობას. ამის შემდეგ, უკვე კვალიფიციური მნგრეველები შეესივნენ შენობას, ვინც იცოდა, რომელ კედლებში გადიოდა ელექტრობისა და ინტერნეტის ქსელები, სხვა საკომუნიკაციო საშუალებები და ეს ყველაფერი გაანადგურეს, რათა მის აღდგენაზე აღარავის ეფიქრა. ილია ჭავჭავაძის სახელობის, პირველი რესპუბლიკის სახელობისა და სხდომათა დარბაზები, ასევე, კინოცენტრი სრულად გაანადგურეს. ამ ნანგრევებში განადგურდა ის ისტორიული ტრიბუნა, რომლიდანაც ზვიად გამსახურდიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 9 აპრილს.

**— ბატონო გია, ხომ არ გახსოვთ ზუსტად, რამდენით აზარალა სახელმწიფო „ნაციონალთა" ამ მართლაც ვანდალურმა გადაწყვეტილებამ და რომელი კომპანიები მონაწილეობდნენ შენობის ნგრევაში?**

– ამ შენობის აღდგენა 22 მილიონი ლარი დაჯდა და თუ უხეშად ვიტყვით, სწორედ ამდენით აზარალეს „ნაციონალებმა" ბიუჯეტი. უფრო ზუსტად, ვერ გეტყვით, რადგან ამას კვალიფიციური გამოძიება დასჭირდება, ექსპერტიზები და ზარალის ზუსტი ოდენობაც ამის შემდეგ გაირკვევა. რაც შეეხება ნგრევაში მონაწილე კომპანიებს, ერთი ასეთი, ტენდერით გამოვლენილი კომპანია ნამდვილად იყო, მას შენობიდან ინვენტარი გადაჰქონდა სხვადასხვა ადგილებში. ეს იყო ავტოსატრანსპორტო კომპანია. სავარაუდოდ, ეს კომპანიაც, რამდენადაც მახსოვს, „ნაციონალთა" ახლობლებისა იყო, ისევ თავისიანებს აშოვნინეს ბიუჯეტიდან ფული.

**— კონკრეტულად ვისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს?**

– ამ შენობის ნგრევა ვერ მოხდებოდა დავით ბაქრაძისა და მიხეილ მაჭავარიანის გარეშე. ბაქრაძე პარლამენტის თავმჯდომარე იყო, მაჭავარიანი კი მისი მოადგილე. აი, მათგან უნდა დაიწყოს საქმის გამოძიება და მერე აუცილებლად გაირკვევა, რომ მთავარი მნგრეველი მიხეილ სააკაშვილი იყო, ერთიც და მეორეც იტყვიან ამას. დავით ბაქრაძემ და მიხელ მაჭავარიანმა რამდენიმე სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს. კერძოდ, სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენეს, სახელმწიფო ქონება გაანადგურეს და სახელმწიფოს დიდი ოდენობით მატერიალური ზარალი მიაყენეს. სიმართლე გითხრათ, მე ცოტა ნაწყენი ვარ ჩემს კოლეგებზე, მათ შორის, „ქართული ოცნების" დეპუტატებზე, რომელთაც პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული და დღეს ამ თემაზე აღარ ლაპარაკობენ, მათ უნდა მოითხოვონ ამ საქმის სრულყოფილად გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა.

**— კარგად მახსოვს, რომ პარლამენტიდან საკმაოდ ძვირადღირებული ინვენტარი და სხვა ქონება სადღაც გაქრა. ხომ არ იცით, ვინ და სად წაიღო?**

– იქ იყო ძვირადღირებული ინვენტარი, უნიკალური ჭაღები, სხვა უამრავი რამ. რაღაც ნაწილი ეკონომიკის სამინისტროს გადაეცა, ნაწილი, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს, მაგრამ ბევრი რამ გაქრა და სავარაუდოდ, „ნაციონალებმა" წაიღეს სახლებში. დიდი მაროდიორობა იყო იქ იმ დროს და დასწრებაზე იყვნენ, რაც შეიძლება მეტი და ღირებული ქონება წაეღოთ სახლებში. ვინ და რა წაიღო, სწორედ ეს უნდა გაარკვიოს გამოძიებამ.

**— მაგრამ ამ საქმეზე გამოძიება, რამდენადაც ვიცი, არ არის დაწყებული.**

– თუ არ დაწყებულა და ძალიანაც შემცდარან. მე მინდა მოვუწოდო მთავარ პროკურორს, გიორგი ბადაშვილს, რომ სასწრაფოდ დაიწყოს მოკვლევა. ანდა რა მოკვლევა, დაუყოვნებლივ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და დაიწყოს გამოძიება. დანაშაულის ნიშნები სახეზეა და მათი ძებნა არ დასჭირდება პროკურატურას. კონკრეტულად უნდა გაარკვიოს, ვინ გასცა პარლამენტის შენობის დანგრევის ნებართვა ოფიციალურად, ასევე, არაოფიციალურად ვინ იყვნენ ჩართულნი ამ საქმეში, ვინ რაშია დამნაშავე და ყველა დამნაშავე სათანადოდ უნდა დასაჯოს. ამ დანაშაულს ჰყავს ძალიან ბევრი თვითმხილველი, ეს ხალხი გამოძიებას მოწმეებად გამოადგება და ამით დაიწყონ გამოძიება. მერე მთავარ დამნაშავეებამდეც მივლენ. ამ ხალხის ნაწილი დღეს ისევ პარლამენტის აპარატში მუშაობს. ეს ამბავი არავის არ უნდა შერჩეს, ამის პატიება არ შეიძლება.





**იმის გასარკვევად, რომელი კომპანიები მონაწილეობდნენ პარლამენტის ნგრევაში და რა თანხები მიიღეს ამისთვის მათ ბიუჯეტიდან, „ალია" პარლამენტის აპარატის უფროსის მოადგილეს, შოთა გოშაძეს დაუკავშირდა:**

**— ბატონო შოთა, ხომ ვერ გვეტყვით, რომელმა კომპანიებმა დაანგრიეს პარლამენტის შენობა და ბიუჯეტმა ამისთვის რა თანხები გადაუხადა მათ?**

– თქვენ წარმოიდგინეთ, არანაირი დოკუმენტაცია, არანაირი სხვა სახის ინფორმაცია არ დამხვდა, აქ რომ მოვედი. ყველაფერი გამქრალია.

**— არც იმ ტენდერების შესახებ არის ინფორმაციები, რომელმაც მნგრეველი კომპანიები გამოავლინა?**

– არა, არც ამ ტენდერების შესახებ არის არანაირი ინფორმაცია.

**— კონკრეტულად, რა თანხა დაუჯდა ბიუჯეტს პარლამენტის შენობის ნგრევა, არც ასეთი ზოგადი ინფორმაცია გაქვთ?**

– არა, არც ზოგადი ინფორმაცია მაქვს და არც დეტალური. მე 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოვედი აქ და არანაირი ინფორმაცია არ დამხვდა პარლამენტის შენობის დანგრევასთან დაკავშირებით. ამ ინფორმაციას მთხოვენ ზემდგომები, მათ შორის, პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი, მაგრამ ვერც მათ მივაწოდე ინფორმაცია. რაც არ არის, რას მივაწვდიდი?

**— ამ მასალების გაქრობა ხომ დანაშაულია? როგორ შეიძლება, სახელმწიფო ტენდერებისა და საბიუჯეტო ხარჯების შესახებ ინფორმაცია გამქრალი იყოს?**

– აი, თუ არ შეიძლება, ფაქტია, რომ გამქრალია. ცხადია, ეს დანაშაულია და უნდა გამოიძიონ, სად და რატომ გაქრა დოკუმენტაცია. იმედია, გამოიძიებენ.

**— ეს „ნაციონალების" გაკეთებულია? მათ გააქრეს ეს ინფორმაციები?**

– სავარაუდოდ, მათი გაკეთებულია, სხვას რომ ამ ინფორმაციებზე ხელი არ მიუწვდებოდა, ეს ფაქტია.

**— ის თუ იცით, პარლამენტის ძვირადღირებული ინვენტარი სად არის ახლა?**

– ნაწილი ეკონომიკის სამინისტროს გადაეცა, ნაწილი კი – გუბერნიებს. ამის დადასტურება შემიძლია.

**„ალიამ" კვალიფიციურ იურისტებთან კონსულტაციის შემდეგ გაარკვია, რომ, თუ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ პარლამენტის დანგრევის საქმის გამოძიება დაიწყო, მინიმუმ, სისხლის სამართლის 2 მუხლის 3 ბრალით მოუწევთ პარლამენტის ყოფილ ხელმძღვანელებს პასუხისმგებლობა.**

1. 332-ე მუხლი, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რომელიც 5 წლამდე ციხეს ითვალისწინებს. თუ დანაშაული ჩადენილია პოლიტიკური ან სახელმწიფო თანამდებობის პირის მიერ, 3 წლით ეკრძალება სახელმწიფო სტრუქტურებში თანამდებობის დაკავება.

2. ნივთის განზრახ დაზიანება ან განადგურება, 187-ე მუხლი, ისჯება ჯარიმით ან 1-დან 3 წლამდე ციხით.

3. სახელმწიფოსთვის მატერიალური ზარალის მიყენება, 187-ე მუხლი, ისჯება 1-დან 3 წლამდე ან, 2-დან 5 წლამდე პატიმრობით. სასჯელის ზომა, საბოლოოდ, მიყენებული ზარალის ოდენობაზეა დამოკიდებული.

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაცმოძრაობა" ჭიკაიძის გადადგომას მოითხოვს

საპარლამენტო უმცირესობის წევრი, ირმა ნადირაშვილი ქვეყანაში უკანასკნელ დღეებში მომხდარი მკვლელობებზე განცხადებას აკეთებს:

„მოკლედ ჩამოვთვლი იმ ფაქტებს, რომელიც გასული კვირის განმავლობაში ქვეყანაში მოხდა. ადიგენში მამაკაცმა სამი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს, 22, 24 და 26 წლის ბიჭები, გარდა ამისა, მკვლელობა მოხდა ბარნოვზე, ერთმა ამნისტირებულმა მეორე მოკლა, ასევე მოკლეს ეთნიკურად აზერბაიჯანელი ლილოში, რამდენიმე დღის წინ მკვლელობა მოხდა მარნეულის რაიონში, 5 სპეცრაზმელი დაჭრეს ლილოში და მათი ნაწილი ახლაც საავადმყოფოში წევს, პოლიციელები სცემეს მესტიაში, პოლიციის შენობაში... სიტუაცია არის ძალიან საშიში და იმ ზღვარზე მისული, როდესაც ადამიანებს გვეშინია, რომ ჩვენი ოჯახის წევრების გარეთ გასვლა შეიძლება დასრულდეს სახიფათოდ. ეს არ არის გასაკვირი და ეს არის შედეგი „ოცნების" მთავრობის უუნარო პოლიტიკის, ეს არის შედეგი იმისა, რომ წლების განმავლობაში აყალბებენ სტატისტიკას, ყველას უდგენენ ისეთ სურათს, თითქოს ყველაფერი იყოს წესრიგში, სინამდვილეში ჩამოთვლილი ფაქტები სხვა რამეზე მეტყველებს, ეს არის შედეგი იმისა, რომ ივანიშვილმა ხელისუფლებაში მოსასვლელად წინასწარ აიღო ვალდებულებები კრიმინალურ სამყაროსთან და მისცა ქალბატონ ეკა ბესელიას, განეხორციელებინა მართლაც უპრეცედენტო, უპასუხისმგებლო ამნისტია.

დღეს, ალბათ, როდესაც ახალგაზრდა პირებს სიცოცხლეს ასალმებენ და ამას აკეთებენ ამნისტირებული ადამიანები, ქალბატონი ეკა ბესელია უმრავლესობასთან ერთად გრძნობს პასუხისმგებლობას და თანამონაწილეობას ამ მკვლელობებში.

ეს არის იმის შედეგი, როდესაც ვიცე-პრემიერი თავს უფლებას აძლევს, აეროპორტში დახვდეს კანონიერ ქურდებს და გადააცილოს ისინი თურქეთამდე. მანამდე კი მისცეს საშუალება, რომ ისინი იყვნენ საქართველოში და ცხოვრობდნენ", – აღნიშნა დეპუტატმა.



ნადირაშვილმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სახელით ალექსანდრე ჭიკაიძის თანამდებობიდან გადადგომა მოითხოვა:

„ეს არის ძალიან მძიმე სიტუაცია და აუცილებელია ამ სიტუაციის გამოსწორება. მით უმეტეს, ყველაფერს ამძიმებს ის, რომ საქართველოს ჰყავს შინაგან საქმეთა მინისტრი, ალექსანდრე ჭიკაიძე, რომელსაც აქვს ერთადერთი ღირსება და დამსახურება, მისი მამა იყო ჰაკიმ ფაშას სიმამრის თამაზაშვილის ნათესავი და მხოლოდ ეს არის მისი ღირსება და დამსახურება.

ის არის არაადეკვატური, ის არის მთელი საქართველოს მხრიდან მასხარად აგდებული და თავისი გუნდიც კი არ უფრთხილდება, ამიტომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სახელით ჩვენ მოვითხოვთ, რომ პრემიერ-მინისტრმა თანამდებობიდან ალექსანდრე ჭიკაიძე გადააყენოს", – განაცხადა ნადირაშვილმა. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# ექსკლუზიური ინტერვიუ შს მინისტრის მოადგილესთან

## რა ღონისძიებების გატარებას გეგმავს შსს გახშირებული მკვლელობების გამო

**რატომ გახშირდა საქართველოში მკვლელობები? რა სტატისტიკას აქვეყნებს შინაგან საქმეთა სამინისტრო? რა პრევენციის გატარებას გეგმავს ჭიკაიძის უწყება?**

**ამ და სხვა მნიშვნელოვან კითხვებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორია პასუხობს:**

**— გახშირებულ მკვლელობებს ადამიანთა ობიექტური აღშფოთება მოჰყვა. ერთ თვეში მოკლულია 11 ადამიანი, დაჭრილია 13 მოქალაქე. თქვენ კი აცხადებთ, რომ მომატებულ კრიმინალზე „ნაციონალური მოძრაობის" განცხადებები შსს-ს დისკრედიტაციას ემსახურება. თქვენ გამოაქვეყნეთ 2011 წლის აგვისტოს სტატისტიკა, თუმცა ადამიანის სიცოცხლეში სტატისტიკა არ იცვლება. რას ვეუბნებით გარდაცვლილთა მშობლებს?**

– „ნაციონალური მოძრაობის" განცხადებები, თითქოსდა გაუარესდა კრიმინალური ვითარება, პირდაპირ ვამბობ, არის ტყუილი. ზუსტად მათივე გამოქვეყნებული სტატისტიკით იმიტომ შემოვიფარგლე, რომ 2011 წლის აგვისტოში, სამწუხაროდ, იგივე რაოდენობის, ანუ 11 მკვლელობა მოხდა და აქედან გაიხსნა 10 საქმე, ხოლო 2014 მოხდა იგივე რაოდენობის მკვლელობა, აქედანაც გაიხსნა 10 მკვლელობა. დღეს, განსხვავებით „ნაციონალური მოძრაობის" პერიოდისგან, ყველას საჯაროდ ხელი მიუწვდება სტატისტიკაზე და განსაკუთრებით, „ნაციონალებს". ამიტომ დასხდნენ, დააფიქსირონ რაოდენობა ამ მკვლელობებისა და საზოგადოებას ელაპარაკონ კონკრეტული ფაქტებით და არა, ტყუილებით... ისინი ტყუილებით მეტად დაკარგავენ ნდობას საზოგადოებაში, ტყუილები ხომ მათი სტილია.

**— ბატონო ლევან, „ნაციონალური მოძრაობის" დროო საქართველოში გამოცხადებული მკვლელობის ქრონიკა იყო და ეს კრიმინალი სახელმწიფო დონეზე ჰქონდათ მათ აყვანილი, მაგრამ დღეს კრიმინალმა ქუჩაში გადმოინაცვლა და რიგით ადამიანებს ემუქრებათ საფრთხე. ამ ადამიანებს კი არ აინტერესებთ სტატისტიკა, მათ აინტერესებთ უსაფრთხოება. რა არის გამოსავალი? რა პრევენციის გატარებას აპირებთ?**

– დავიწყოთ იმით, რომ საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენს ამ კუთხით. სამწუხაროდ, ყველა ქვეყანაში ხდება ასეთი ფაქტები. ამისგან ზეგანვითარებული ქვეყანაც კი არ არის დაზღვეული, მაგრამ რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტებს, რაც მოხდა ამ დღეებში... ხშირად ასეთი კრიმინალური გარჩევები უკავშირდება მეგობრებსა და ოჯახის წევრების საქმის გარჩევებს, რაც, სამწუხაროდ, მკვლელობით მთავრდება. პოლიციელის მხრიდან წინასწარ იმის განჭვრეტა ძნელია, სუფრასთან მჯდომი რომელ ნათესავს გაიმეტებს მოსაკლავად. ბუნებრივია, ვმუშაობთ სიტუაციის გამოსწორებაზე მუდმივი პატრულირებით და სხვა პრევენციული ზომებით, აღვკვეთოთ ასეთი ფაქტების შესაძლებლობა, მაგრამ აქვე გეტყვით, რომ პრივატულ სფეროში, ოჯახებში, სადაც ნათესავი ნათესავს სასიკვდილოდ იმეტებს, პრაქტიკულად ამაზე პრევენციული ზომების გატარება შეუძლებელია. არადა, ასეთ ფაქტებს უფრო ხშირად აქვს ადგილი, მაგრამ ამ კუთხით ჩვენ არ ვადუნებთ ყურადღებას და ინტენსიურად ვმუშაობთ, რა შეიძლება მოვიმოქმედოთ. კანონმდებლობას იარაღის შესახებ გადავხედეთ, კანონში არის გარკვეული ხარვეზები, დღეს ნებისმიერს შეუძლია იყიდოს იარაღი, თუკი პირი არ არის ნასამართლევი და ფსიქიკურად დაავადებული. იარაღის შეძენა 18 წლიდან ყველას შეუძლია. ვფიქრობთ, რომ ასაკობრივი ცენზი უნდა განისაზღვროს, ასევე ვფიქრობთ, რომ ადამიანებმა, ვინც იარაღს შეიძენენ, გაიარონ მომზადება და ყველას არ ჰქონდეს იარაღის შეძენის უფლება. აქვე გეტყვით, რომ მთავრობას გავუგზავნეთ კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, ჩვენ შემოგვაქვს მუხლი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა იქნება, თუკი არასრულწლოვანს მიჰყიდიან ცივ იარაღს. ასაკის მიუხედავად, დღეს ნებისმიერს შეუძლია ცივი იარაღის შეძენა. აქაც ასაკობრივი ცენზი უნდა დავაწესოთ. პარალელურ რეჟიმში გამკაცრდება პატრულირება.





**„კანონმდებლობას იარაღის შესახებ გადავხედეთ, კანონში არის გარკვეული ხარვეზები, დღეს ნებისმიერს შეუძლია იყიდოს იარაღი, თუკი პირი არ არის ნასამართლევი და ფსიქიკურად დაავადებული. იარაღის შეძენა 18 წლიდან ყველას შეუძლია. ვფიქრობთ, რომ ასაკობრივი ცენზი უნდა განისაზღვროს, ასევე ვფიქრობთ, რომ ადამიანებმა, ვინც იარაღს შეიძენენ, გაიარონ მომზადება და ყველას არ ჰქონდეს იარაღის შეძენის უფლება"**

„რამდენიმე დღის წინ სასამართლოს წერილობით მივმართეთ, კერძოდ, როდესაც პატრული სამართალდარღვევაზე აკავებს პირს, ვთქვათ, ხულიგნობაზე, დაკავებული პირი პატრულმა უნდა წაიყვანოს სასამართლოში. სასამართლოში ხდება ისე, რომ მოსამართლე პატრულს ალოდინებს 5-6 საათის განმავლობაში. შესაბამისად, სადაც პატრულმა პატრულირება უნდა განახორციელოს, მოწყვეტილია საქმიანობას"

**— მაგალითად, ჩემ თვალწინ მოხდა ინციდენტი ქუთაისში, როცა ახალგაზრდებმა ერთმანეთი დაასისხლიანეს და პატრული არ მოვიდა. არადა, ეს ჩხუბი თითქმის 3 საათი გრძელდებოდა. ძალიან ბევრი შემთხვევაა, როდესაც პატრული აღარ პატრულირებს. უფრო კონკრეტულად, რა ცვლილებები იგეგმება პატრულში?**

– ექსკლუზიურად გეტყვით, რომ მიუხედავად ცვლილებისა, სასა-

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რა ელის საქართველოს, თუკი ისლამისტებმა ჩრდილოეთ კავკასიაში ომი დაიწყეს?

დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს" „ბოევიკებმა" ინტერნეტში ვიდეომიმართვა გაავრცელეს, სადაც კავკასიისა და ჩეჩნეთის განთავისუფლებით იმუქრებიან. როგორც მიმართვიდან ჩანს, „ბოევიკები" პირადად რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ემუქრებიან სირიის პრეზიდენტის ბაშარ-ალ ასადისთვის იარაღის მიწოდების გამო.

**„ალიას" უსაფრთხოების ექსპერტი, ვახტანგ მაისაია ესაუბრა:**

**— რამდენად რეალურია ეს მუქარა და რა საფრთხეები ემუქრება საქართველოს, თუკი ისლამისტმა ბოევიკებმა ჩრდილოეთ კავკასიაში საბრძოლო მოქმედებები დაიწყეს?**

– ეს მიმართვა გაკეთებულია სირიაში, სამხედრო ბაზის დაკავების მერე. როგორც ჩანს, ისინი აპირებენ ჩრდილოეთ კავკასიაში გახსნან კიდევ ერთი ფრონტი, რომელიც იქნება რიგით მესამე. პირველი გახსნილია სირიაში, მეორე კი – ერაყში. იმისთვის, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში აწარმოონ გლობალური „ჯიჰადი", სჭირდებათ საწვრთნელი ბაზები. ასეთი ბაზები არის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, სადაც მათ ჰყავთ მხარდამჭერებიც და ალბათ, ჩრდილოეთ კავკასიაში იქიდან გადავლენ.

**— როგორც ვიცი, ამ ისლამისტებს შორის კავკასიელები ბევრი არიან...**

– რა თქმა უნდა. სწორედ კავკასიელები წარმოადგენენ დამრტყმელ ძალას. ასევე, არიან ბოსნიელები და ალბანელები. მუქარა არის სერიოზული, რადგან საქმე გვაქვს ძალიან სერიოზულ ძალასთან. მან, ფაქტობრივად, გაბედა და ერაყში ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები წამოიწყო. ამერიკას ოფიციალურად გაუბედეს ომი და გამოიწვიეს ის. აპრილ-მაისში ისლამისტურ ხალიფატში შეიცვალა ხელმძღვანელობა, ჩეჩნების ზომიერი ისლამისტური ძალები ჩაანაცვლეს დაღესტნელმა რადიკალებმა და როგორც ჩანს, ესენი გახდნენ დასაყრდენი ძალა. საკმაოდ კარგად შერჩეული აქვთ დრო ამ ომის დასაწყებად. უკრაინაში არსებული ომი არ მისცემს რუსეთს იმის საშუალებას, რომ საკმარისი ყურადღება გადაიტანოს ამ საშიშროების მიმართულებით, რადგან რუსეთს ორ სხვადასხვა ფრონტზე მოუწევს ბრძოლა, მათი სარდლობა კი გადართულია უკრაინაზე. ამ შემთხვევაში ისლამისტები გამოიყენებენ ახალი ტიპის სამხედრო ტაქტიკას, საკმაოდ სახიფათო ზამთარი იქნება ჩრდილო კავკასიაში. რაც მთავარია, ფინანსური უზრუნველყოფა მათ უკვე მოიპოვეს, აკონტროლებენ მდიდარ ნავთობისა და გაზის საბადოებს, საიდანაც საშუალოდ წლიური შემოსავალი 2 მილიარდს აჭარბებს. ეს თანხა სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ აწარმოონ გლობალური ჯიჰადი ჩრდილოეთ კავკასიაში.



**— მთავარ საკითხს მივუბრუნდეთ. ჩრდილოეთ კავკასიაში თუ ომი დაიწყო, ჩვენც ხომ დავზარალდებით?**

– თუ საბრძოლო ოპერაციები დაიწყო, ეს სერიოზულად დაგვაზარალებს. საქართველოს გამოყენება ძირითადად მოხდება, როგორც ტრანზიტული ქვეყნისა, მებრძოლებისა და ფინანსური რესურსების კონცენტრირება მოხდება აქ. ალბათ, ჩრდილო კავკასიიდან ლტოლვილების დიდ მასასაც უნდა ველოდოთ და ეს დამატებით პრობლემებს შეგვიქმნის. ეს მუქარა რეალურია და საფრთხეც სავსებით რეალური. შარშან თუ სიმულანტური და ცრუ იყო მსგავსი ვიდეოები, ახლა ეს უკვე ასე აღარაა, ისინი გაძლიერდნენ და უკვე გადადიან მოქმედებაზე.

**— თუ საქართველოს ტრანზიტულ ქვეყნად გამოიყენებენ რუსეთთან დამატებითი პრობლემები არ შეგვექმნება? არ გვკითხავენ, ჩვენს ტერიტორიაზე ომია და ბოევიკებს აქეთ რატომ უშვებთო?**

– მაინც მგონია, რომ ძირითადად აზერბაიჯანიდან გადავლენ. თანაც, ამ ძალების შტაბის უფროსი ჩვენი თანამემამულეა, ახმეტის რაიონიდან და არ მგონია, ისე იმოქმედონ, რომ ჩვენ საფრთხე შეგვექმნას.

**— და ბოლოს, რუსეთმა, აფხაზეთმა და ე.წ. სამხრეთ ოსეთმა შესაძლოა, სამხედრო ბლოკი შექმნან. ეს რამდენად რეალურია?**

– ეს არის შენიღბული გეგმა, რომლის მიხედვითაც მოსკოვმა უშუალო დაქვემდებარებაში გადაიყვანა აფხაზეთი და ოსეთი, რუსეთი დაიქვემდებარებს აქ არსებულ შეიარაღებულ ძალებს ოპერატიული მმართველობის დონეზე. ამის შემდეგ რუსეთი უშუალოდ მიიღებს გადაწყვეტილებას, არ შეეკითხება არც ცხინვალს და არც სოხუმს, როგორ იმოქმედონ საქართველოსთან მიმართებაში. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ჩავთვალოთ, საქართველოს საზღვართან ოპერატიული სამხედრო ჯგუფები ლეგალურად იქნებიან.

*ჟანა ასანიძე*

*მეშვიდე გვერდიდან*

მართლო ცუდ პრაქტიკას აგრძელებს, რამდენიმე დღის წინ სასამართლოს წერილობით მივმართეთ, კერძოდ, როდესაც პატრული სამართალდარღვევაზე აკავებს პირს, ვთქვათ, ხულიგნობაზე, დაკავებული პირი პატრულმა უნდა წაიყვანოს სასამართლოში. სასამართლოში ხდება ისე, რომ მოსამართლე პატრულს ალოდინებს 5-6 საათის განმავლობაში. შესაბამისად, სადაც პატრულმა პატრულირება უნდა განახორციე-

სასამართლოს მივწერეთ წერილი. ამით იმის თქმა მინდა, რომ მაქსიმალურად ხდება ამ ხარვეზების აღმოფხვრა, პატრული უნდა იყოს ქუჩაში და მოახდინოს კრიმინალზე რეაგირება, ეს თითოეული პოლიციელის პასუხისმგებლობაა, ამისთვის არსებობს შიდა კონტროლის მექანიზმი გენინსპექციის სახით, რომ სადაც რეაგირებაა საჭირო, მოახდინოს რეაგირება. რაც თქვენ ბრძანეთ ქუთაისთან დაკავშირებით, ეს არის ცალკე შესწავლის საქმე. თუ ასეთ



**„კუბლაშვილი გამოდის განცხადებებით და პოლიციას მორალს უკითხავს, არადა, ეს იმ ხელისუფლების წარმომადგენელია, რომელიც პოლიციას თავისი პოლიტიკური ინტერესების იარაღად იყენებდა და ბინძურ საქმეებს აკეთებინებდა. რა მორალური უფლება აქვს, რომ დღეს ამ პოლიციას, რომელიც მათ ხელში ღირსებააყრილი იყო, ღირსებაზე ელაპარაკება. ეს არის სწორედ ცინიზმი“**

ლოს, მოწყვეტილია საქმიანობას. 2-3 კვირის წინ პარლამენტმა მიიღო ცვლილებები, რომ ასეთ დროს მოხდეს საქმის დაუყოვნებლივი განხილვა, რათა პატრულს თავისი ფუნქციის ეფექტურად შესრულების შესაძლებლობა მიეცეს და არ იჯდეს 5 საათის განმავლობაში სასამართლოს მოლოდინში, ნაცვლად იმისა, რომ მოახდინოს პატრულირება. მიუხედავად ამ ჩანაწერისა, დღემდე გრძელდება ეს მავნე პრაქტიკა და

ფაქტს ჰქონდა ადგილი, შესასწავლია, რატომ არ იმოქმედა პოლიციელმა.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ ზეგანვითარებულ ქვეყნებშიც კი ხდება კრიმინალური ფაქტები. გიდასტურებთ, შვეიცარიაში, რომელიც უსაფრთხო ქვეყნად ითვლება, არის ნიშნები, სადაც გაფრთხილებენ, რომ აქ შესაძლებელია, გაგქურდონ. მაგრამ არ ფიქრობთ, რომ საქართველო ნელ-ნელა უსაფრთხო ქვეყნის სტატუსს კარგავს?**

– რა საინტერესო ფაქტი გაიხსენეთ, მე გახლდით ამერიკის შეერთებულ შტატებში, როცა ჩავედი ქალაქ სალანაში, ერთ-ერთ უბანზე მითხრეს, რომ გაფრთხილდით, ამ ტერიტორიაზე თქვენი შესვლა იქნება სიცოცხლისთვის საშიში. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტებისგან არც ერთი ქვეყანა არაა დაცული, მაგრამ საქმე ისაა, რომ სტატისტიკას რომ გადავხედეთ, კრიმინალის გაუარესებას ტენდენციური სახე არა აქვს. როცა თვეში 20 ან 20-ზე მეტი მკვლელობა მოხდება, ეს უკვე სერიოზული ნიშნულია. უწინ ყველა სატელევიზიო საშუალება კონტროლდებოდა ხელისუფლების მიერ, ინფორმაციის მიწოდება ხდებოდა იმ ფორმით, რა ფორმითაც ხელისუფლებას აწყობდა, ჩვენ ვეუბნებით საზოგადოებას, რაც არის რეალობა. შესაბამისად, საზოგადოებამ დასკვნა უნდა გააკეთოს, სიმართლე თქვას როგორი რეალობა იყო უწინ იმ ხელისუფლების პირობებში და როგორია დღეს.



**„როგორც ჩანს, „ნაციონალებმა ეს კამპანია დაგეგმეს იმ შეხვედრაზე, სადაც ყოფილი პრეზიდენტი იყო ჩამოსული თურქეთის ტერიტორიაზე, მან განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა და თქვა, რომ გული მიწუხს მკვლელობების ფაქტებს რომ ვისმენო. არადა, როცა უშუალოდ იყო პასუხისმგებელი, როგორც ქვეყნის პირველი პირი, მაშინ ერთხელ არ გამოსულა გულაჩუყებული. ეხლა რატომ შეუწუხდა გული, არ ვიცი“**

**— ბატონო ლევან, როცა წინა წლების სტატისტიკას გადახედეთ, ყოფილი ხელისუფლების პირობებში დაყაჩაღებისა და 4 წლის ბავშვის გაუთოების ფაქტი იყო?**

– მოხდა ძალიან სამწუხარო ფაქტი რამდენიმე დღის წინ, როგორც დაზარალებულის ოჯახის წევრმა თქვა, ეს გააკეთა მისმა ბიძაშვილმა. ბუნებრივია, რაც მოხდა, ეს არის ძალიან ცუდი ფაქტი. რაც მოხდა ვანში, ასეთი ფაქტი ბოლო პერიოდში არ ყოფილა.

**— „ნაციონალები“ ითხოვენ შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომას...**

– როგორც ჩანს, „ნაციონალებმა ეს კამპანია დაგეგმეს იმ შეხვედრაზე, სადაც ყოფილი პრეზიდენტი იყო ჩამოსული თურქეთის ტერიტორიაზე, მან განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა და თქვა, რომ გული მიწუხს მკვლელობების ფაქტებს რომ ვისმენო. არადა, როცა უშუალოდ იყო პასუხისმგებელი, როგორც ქვეყნის პირველი პირი, მაშინ ერთხელ არ გამოსულა გულაჩუყებული. ეხლა რატომ შეუწუხდა გული, არ ვიცი. როგორც ჩანს, რაც ხდება, ეს არის იმ შეხვედრის ლოგიკური გაგრძელება.

დღეს კუბლაშვილი გამოდის განცხადებებით და პოლიციას მორალს უკითხავს, არადა, ეს იმ ხელისუფლების წარმომადგენელია, რომელიც პოლიციას თავისი პოლიტიკური ინტერესების იარაღად იყენებდა და ბინძურ საქმეებს აკეთებინებდა. რა მორალური უფლება აქვს, რომ დღეს ამ პოლიციას, რომელიც მათ ხელში ღირსებააყრილი იყო, ღირსებაზე ელაპარაკება. ეს არის სწორედ ცინიზმი. ამ ფონზე მათი გადაწყვეტილება, – მოდით, ახლა შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხისგების საკითხი დავაყენოთო, არის სწორედ ამ ჯაჭვის შემადგენელი ნაწილი, ეს არის „ნაციონალების“ მზაკვრული თამაშების ერთ-ერთი ხერხი...

**— გასაგებია, რომ „ნაციონალების“ მოთხოვნით შინაგან საქმეთა მინისტრი არ უნდა გადადგეს, რადგან სწორედ მის ხელისუფლებას ჰყავდა შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, რომელიც ღიად ითხოვდა გვამებს და ამისთვის პრემიებს გასცემდა და რომლის ცოლის, სალაყაიას თანამესუფრეებმა მოკლეს გირგვლიანი. ლევან ბერძენიშვილის თქმით, სალაყაიას გირგვლიანის წამებასა და კვნესას მობილური ტელეფონით ასმენინებდნენ, მაგრამ ამისთვის მერაბიშვილი არ გადამდგარა. თუმცა ეს არ არის შვება და ჩვენ ცუდი მოგონებებით ვერ ვიცხოვრებთ. ისიც გვესმის, რომ სააკაშვილმა პრეზიდენტობის ბოლო პერიოდში შეიწყალა ყველაზე სასტიკი დამნაშავეები და პედოფილები, მოსალოდნელი იყო კრიმინალის გაუარესება, მაგრამ არც ეს არის გამოსავალი... და კიდევ ერთხელ ჩაგეკითხებით, რას გვთავაზობთ? ატარებთ თუ არა ამნისტირებულებზე მონიტორინგს? სანდრო ბრეგაძის ინფორმაციით, „თავისუფალი ზონა“ იწყებს სიტუაციის დაძაბვას, მისი მიზანია, შინაგან საქმეთა სამინისტროს პროვოკაციაზე წამოგება, რასაც მოჰყვება რეიდები, შემდეგ კი „ნაციონალები“ იტყვიან, საქართველოში ადამიანების უფლებები და დემოკრატია საფრთხის ქვეშ არისო.**

– ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვიმოქმედებთ მხოლოდ კონსტიტუციის ფარგლებში, – როდესაც ვამბობ, რომ, შესაბამისად, ტარდება პრევენციული ღონისძიებები, სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება, საზოგადოებას ვაძლევთ პირობას და ვამშვიდებთ, ვინც ცდილობს, ხელოვნურად დაძაბოს სიტუაცია, ამის საშუალებას მათ არ მივცემთ.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## დედაქალაქის მთავრობამ შესაძლოა, 30-მილიონიანი სესხი აღარ აიღოს



თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, თბილისის მთავრობამ 30-მილიონიანი სესხი შესაძლოა, აღარ აიღოს.

„შესაძლოა, ჩვენ არ დაგვჭირდეს სესხის აღება გამომდინარე სატენდერო ეკონომიებიდან და სხვა რესურსებიდან, მაგრამ, თუ მაინც დაგვჭირდება, მივიღეთ თანხმობა სესხის აღებაზე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საბიუჯეტო სახსრები მომჭირნედ არ უნდა ვხარჯოთ. ამიტომ, წლის ბოლომდე მაქსიმალურად ქამრები უნდა შემოვიჭიროთ... განსაკუთრებით ხაზი მინდა გაუსვა იმ ადამიანების მიერ აღებულ პრემიებს, რომლებიც ბიუჯეტის განხილვის დროს თბილისის საკრებულოს ტრიბუნიდან ხმამაღალ განცხადებებს აკეთებენ. ამის უფლება მათ არ აქვთ. ჩვენ საზოგადოებას მივაწვდით ინფორმაციას ამ ადამიანების მიერ აღებული მაღალი პრემიების შესახებ“, – განაცხადა ნარმანიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## 16-26 სექტემბერს უკრაინაში ნატოს სამხედრო სწავლებები გაიმართება



სწავლების სახელწოდებაა „სწრაფი სამკაპი“. სწავლებებზე ყურადღება სამშვიდობო ოპერაციებსა და ასაფეთქებელი მოწყობილობების გაუვნებელყოფაზე გამახვილდება. სწავლებების გამართვა ივლისში იყო დაგეგმილი, მაგრამ უკრაინაში ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყების გამო გადაიდო.

სწავლებაში ნატოსა და მისი პარტნიორი ქვეყნების 1000 ჯარისკაცი მიიღებს მონაწილეობას უკრაინიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ესპანეთიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, მოლდოვიდან, ლიტვიდან, ესტონეთიდან, ლატვიიდან, კანადიდან. (ნიუპოსტი)



## რუსი ოკუპანტების იერიში მარიუპოლის მიმართულებით ჩაიფუშა

რუსეთის არმიის სამხედრო ნაწილები და ტერორისტები ცდილობდნენ უკრაინის ქალაქ მარიუპოლის მიმართულებით იერიში განეხორციელებინათ, თუმცა ანტიტერორისტული ოპერაციის ძალების ბატალიონმა „აზოვმა“ ეს შეტევა მოიგერია.

მარიუპოლი რუსეთის არმიის სამხრეთ უკრაინაში შემოჭრის შემდეგ საიმედოდ არის გამაგრებული, მათ შორის ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვითი ნაგებობებით.

„ეს შესაძლოა, იყოს „დაზვერვა ბრძოლით“ და ოკუპანტები უფრო სერიოზული თავდასხმისთვის ემზადებოდნენ. არ გამოვრიცხავთ კომბინირებულ შეტევას მარიუპოლზე, სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალების გამოყენებით“, – აცხადებენ ანტიტერორისტული ოპერაციის შტაბში. (ნიუპოსტი)



# რას საუბრობენ ნატოს კულუარებში საქართველოზე სამიტის დაწყების წინ?

მსოფლიო მედიის ყურადღება ფოკუსირდება ნატოს უელსის სამიტზე, თუმცა ქართული მედიის ყურადღება ჯერ კიდევ შიდა პრობლემებზეა ორიენტირებული. მიხეილ სააკაშვილი სიცრუეს უწოდებს საბერძნეთში მომხდარ ინციდენტს და აცხადებს, მთავრობა ყველაფერს აკეთებს, ქვეყანაში რომ არ შემომიშვას. ცდილობენ, სადამდეც მწვდებიან, იქ ჩამავლონ ხელი, მაგრამ არ გამოსდითო. ნათქვამია, „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“. როგორც ხედავთ, სააკაშვილი ხუმრობის ხასიათზეა, ის ამჯერად ალბანეთიდან ხუმრობს. ალბანეთში მის წინა ვიზიტს პოლიტოლოგების სკანდალური შეფასება მოჰყვა, რომელიც ნარკოსკანდალსა და კეზერაშვილის ალბანურ ბიზნესს დაუკავშირეს.

რას საუბრობენ ევროპის კულუარებში საქართველოში დანთებულ პოლიტიკურ ცეცხლზე? როგორი იქნება მათი რეაქცია, მას შემდეგ, თუკი სააკაშვილი წითელი ცირკულარით ძებნილად გამოცხადდება? ვისი მოწვევით ჩამოვიდა საქართველოში მსოფლიოში აღიარებული პოლიტოლოგი ფრენსის ფუკუიამა, რას ემსახურებოდა მისი მესიჯი, რომ სააკაშვილი დიდი პოლიტიკოსია? რა დგას ამ ფრაზების უკან – გაფრთხილება თუ დასავლეთის თვალით დანახული სააკაშვილის ფასადური დემოკრატია?

**საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე „ალიას“ კითხვებს უპასუხებს:**

**— მთელი მსოფლიოს ყურადღება გადართულია უელსის ნატოს სამიტზე, იქ იმყოფება საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც შეხვდება ნატოს გენერალურ მდივანს. რას ლაპარაკობენ ევროპაში პრეზიდენტისა და პრემიერის „მოურიგებელ“ ვიზიტებზე, როგორ აღიქვამენ ისინი ამ კინკლაობას?**

– ეს აღიქმება არასერიოზულად, რაც შეეხება თავად სამიტს, სამწუხაროდ, მე ვერ დავესწრები, მე წარმოვადგენ „ობიექტივს“ და სამწუხაროდ, ამ ტელეკომპანიას ფული არ აქვს, სხვა ტელევიზიებს არ გამოუთქვამთ სურვილი, ალბათ, გაგზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს, სურათებს გადაიღებენ და ისე დამთავრდება სამიტი, ვერაფერს გავიგებთ, სინამდვილეში იქ რა მოხდება. უფრო სერიოზულად რომ ვილაპარაკოთ, 6 თვის წინანდელი გადასახედიდან ეს სამიტი შეიძლება სხვანაირად ჩატარებულიყო. მაშინ ფიქრობდნენ, რომ სამიტზე განესაზღვრათ ნატოს ორწლიანი სტრატეგია და ნატოს შიდა ტექნიკური პრობლემების მოგვარების გზები. მაგრამ ბოლო უკანასკნელი ორი თვის მოვლენებმა აბსოლუტურად შეცვალა ნატოს სტრატეგია. შიდა პრობლემებიც სხვა კუთხით წარმოაჩინა. რაც სირიასა და ახლო აღმოსავლეთში ხდება, ამას ძალიან მტკივნეულად აღიქვამს დღეს ცივილიზებული სამყარო, ეს მარტო სირიისა და ერაყის პრობლემა არ არის, რადგან იქ ჩამოყალიბდა აბსოლუტურად ახალი ტიპის ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც არა მარტო სირიასა და წინა აღმოსავლეთს ემუქრება, არამედ ემუქრება ევროპულ დემოკრატიას. ამ ტერორისტებმა 6000 ამერიკული ვიზა მოიპარეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ისე შევლენ და გამოვლენ ამერიკაში, ვერავინ გააკონტროლებს. სიტუაცია კონტროლიდან გამოსულია, ეს ობამას ადმინისტრაციის ლოიალურ პოლიტიკას მიუთითებს და თუ სად დაუშვეს მათ შეცდომები, ეს იქნება განხილული ნატოს სამიტზე. ეს იქნება ერთ-ერთი მთავარი თემა, რადგან მსოფლიო დგას ფეთქებადსაშიში სიტუაციის წინაშე. ამ ტერორისტულმა ორგანიზაციამ ვნახეთ, რომ ამერიკელ ჟურნალისტს თავი მოჰკვეთა. მათთვის არავითარი წმინდა არ არსებობს. ასე რომ, უელსის სამიტზე ეს იქნება ძირითადი თემა. ასევე, ძალიან მძიმე და ცუდი სიტუაციაა უკრაინაში. ბოლო ორი თვის განმავლობაში იქაც აბსოლუტურად რადიკალურად შეიცვალა სიტუაცია. რუსეთი, რომელიც ღია საომარ სტრატეგიას აწარმოებს უკრაინაში... ჯერ კიდევ ორი თვის წინ ევროპაში ლაპარაკობდნენ, რომ რუსეთი ევროპის სტრატეგიული პარტნიორია, და ევროპის ეს სტრატეგიული პარტნიორი ყველანაირი მომსახურების ზონიდან გავიდა, თან რუსეთ-უკრაინის ომი არის ნატოს წევრი ქვეყნების საზღვრებთან. თუ ნატომ ახალი სტრატეგია არ შეიმუშავა, ჩვენ მივიღებთ სხვანაირ მსოფლიო ძალთა გადანაწილებას. ამ თვალსაზრისით ნატოს უელსის სამიტი არის ინფორმაციულად დატვირთული.

**— საქართველო ძალიან დიდი საფრთხის წინაშეა, უკრაინის შემდეგ რუსეთის აგრესია გადმოვა საქართველოსა და მოლდოვაზე. ბარაკ ობამა ნატოსა და სხვა პარტნიორებს მოუწოდებს, რომ მეტი უნდა გაკეთდეს საქართველოსა და მოლდოვის დასახმარებლად, მაგრამ რა გააკეთეს მათ უკრაინის დასახმარებლად? რამდენად რეალურია ეს განცხადებები, რას ამბობენ ამ თემების შესახებ ევროპის კულუარებში?**

– რა თქმა უნდა, საქართველო ისეთივე საფრთხის ქვეშაა, როგორც უკრაინა. თბილისიდან 40 კმ-ში დგას საოკუპაციო ჯარები. ამ სამიტზე ნატო შეეცდება, რუსეთთან ურთიერთობების ახალი ფორმები მოძებნოს, როგორც ზეწოლის, ასევე, თანამშრომლობის. 21-ე საუკუნეში სრულ იზოლაციაში ვერავის მოამწყვდევ. ამ მოცემულობაში ჩვენც გათვალისწინებულები ვიქნებით. ამ სიტუაციაში ჩვენ აღმოვჩნდებით უფრო მეტად დაახლოებული ნატოსთან და ცივილიზებულ სამყაროსთან. ეს, ერთი მხრივ, ძალიან კარგია, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ქართულმა დიპლომატიამ იმდენად კარგად იმუშავა, ეს შედეგი დაიდო. არა, ეს არის მსოფლიოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე აუცილებლობა. სტრატეგიული მნიშვნელობის კავკასიასთან ხდება ეს მოვლე-

*გაგრძელება მე-9 გვერდზე*

**„ამ სამიტზე ნატო შეეცდება, რუსეთთან ურთიერთობების ახალი ფორმები მოძებნოს, როგორც ზეწოლის, ასევე თანამშრომლობის. 21-ე საუკუნეში სრულ იზოლაციაში ვერავის მოამწყვდევ. ამ მოცემულობაში ჩვენც გათვალისწინებულები ვიქნებით. ამ სიტუაციაში ჩვენ აღმოვჩნდებით უფრო მეტად დაახლოებული ნატოსთან და ცივილიზებულ სამყაროსთან“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ევროკომისიამ რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციები მოამზადა



რუსეთის წინააღმდეგ ევროკავშირის ახალი სანქციები იმ ზომებს შეავსებს, რომელიც ევროკავშირმა 31 ივლისს მიიღო და შეეხება ისეთ სფეროებს, როგორებიცაა საფინანსო ბაზრები, თავდაცვა, ორმაგი დანიშნულების საქონელი და მგრძნობიარე ტექნოლოგიები. „უნიანის“ ინფორმაციით, ამის შესახებ ევროკომისიის ინფორმაციაშია აღნიშნული.

„ევროკომისიამ წევრ ქვეყნებს უკვე გადაუგზავნა განსახილველად სანქციის ის ზომები, რომელიც უნდა დამტკიცდეს. ამ ქვეყნებმა უნდა განიხილონ და შეაფასონ ევროკომისიის შეთავაზება“, – ნათქვამია ინფორმაციაში. (ინტერპრესნიუსი)

## რესპუბლიკურ საავადმყოფოში TV 3-ის ოპერატორს კამერა დაუმტვრიეს

რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაღებაზე მყოფ **TV 3**-ის ოპერატორს ვაკეში გარდაცვლილი ახალგაზრდა მამაკაცის ოჯახის ახლობლებმა კამერა დაუმტვრიეს.

„გარედან საერთო კადრებს ვიღებდი და მთხოვეს, ნუ იღებო. ამის შემდეგ ჩემკენ დაახლოებით 30 კაცმა გამოიწია. როდესაც ეს სიტუაცია განეიტრალდა, ვიკითხე, ჩემი კამერა სად არის-მეთქი, პოლიციელებმა მითხრეს, სადაც დადე, იქ არისო, მივედი და კამერა დამტვრეული დამხვდა“, – განაცხადა ოპერატორმა. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ღვინიაშვილი ჭიკაიძეს, პოლიციელის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას სთხოვს





საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიორგი ღვინიაშვილი შს მინისტრს, მისივე უწყების ნასვამი თანამშრომლის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას სთხოვს.

„მიმდინარე წლის 17 აგვისტოს სართიჭალა-თბილისის გზის მონაკვეთზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. გურჯაანიდან მომავალ ოჯახს შეეჯახა ავტომანქანა, რომელსაც მართავდა ნასვამი მძღოლი, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი. შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა 24 წლის სოფიკო სეფიაშვილი და მძიმედ დაშავდა მისი მცირეწლოვანი შვილი. ნასვამი პოლიციელი ცდილობდა შემთხვევის ადგილიდან მიმალვას, რა დროსაც მას დაუვარდა ტელეფონი. გარდაცვლილის მეუღლემ ეს ტელეფონი აიღო მისი ვინაობის დასადგენად. საქმეს იძიებს ქვემო ქართლის საპატრულო პოლიცია, საიდანაც არაერთხელ დაუკავშირდნენ დაზარალებულს, ჰქონდა თუ არა მას პრეტენზია დამნაშავე პოლიციელს მიმართ. რა თქმა უნდა, ამ ადამიანს დამნაშავის მიმართ პრეტენზია აქვს. ამის გამო მას დაემუქრნენ, რომ შემთხვევის ადგილიდან ტელეფონის აღების გამო მას პასუხისგებაში მისცემდნენ ძარცვის ბრალდებით. წარმოიდგინეთ, რა დონის უსამართლობაა? ამ ტრაგედიის თავის თავზე მიმღებ ადამიანს, მე მგონი, ხასიათი არ ექნებოდა იმის, რომ ტრაგედიის ადგილას ძარცვა ჩაედინა. ცხადია, რომ ხელისუფლებას შინაგან საქმეთა სამინისტროში ძალიან სერიოზული პრობლემები აქვს“, – განაცხადა ღვინიაშვილმა. (ფრონტნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


*მეცხრე გვერდიდან*

ნები, ამიტომ ნატოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს სტრატეგიული ფორპოსტი. ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რომ კავკასია არ დაკარგონ. ასეთივე სიტუაციაა მოლდოვის შემთხვევაში, რომელიც ძალიან ახლოსაა უკრაინასთან. ამიტომ არის მოლდოვის მიმართ ასეთი დიდი დაპირებები. უელსის სამიტიდან ჩვენ მივიღებთ ძალიან კარგ და კონკრეტული წინადადებების პაკეტს, რა თქმა უნდა, ეს არ იქნება არც მაპ-ი და არც მაპ-ზე „უკეთესი“, მაგრამ უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს წინ გადადგმული ნაბიჯი არ იქნება არც ჩვენი მთავრობის და არც ქართული დიპლომატიის დამსახურება. ეს უფრო ჩვენი ნატოელი პარტნიორების დამსახურებაა, რაც, ვიმეორებ, მსოფლიო პოლიტიკურმა ვითარებამ დააჩქარა. ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენ როგორ გამოვიყენებთ ამ სიტუაციას.

**— ნატოსთან დაახლოების გზაზე ხელისშემშლელი ხომ არ აღმოჩნდება წითელი ცირკულარით ექსპრეზიდენტის ძებნის გამოცხადება? როგორი იყო ევროკავშირისა და ევროსაბჭოს პოზიცია, როცა სააკაშვილზე სამართლებრივი დევნა დაიწყო? რას ამბობენ საბერძნეთში მის დაკავებასთან დაკავშირებით?**

– ამ მომენტისთვის ევროკავშირი ფორმირების მომენტშია, რაც დამთავრდება ნოემბერში. როცა ძველი მთავრობა მიდის და ახალი მოდის, სწორედ ამ დროს უნდა იყოს გაცხარებული მუშაობა. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლების მხრიდან ამ მუშაობის პროცესს ვერ ვხედავ. სამაგიეროდ, ძალიან კარგად მუშაობს მიშა სააკაშვილი. მე თვითონ სკეპტიკურად ვარ განწყობილი ამ ყველაფრისადმი, რადგან ჩვენ ხელიდან ვუშვებთ შანსს, დაგვემტკიცებინა ევროპისთვის ჩვენი სიმართლე. მიხეილ სააკაშვილის საბერძნეთში შეყოვნებაზე ევროპაში არავინაც არაფერს ამბობს, მაგრამ საკმაოდ ხშირად სვამენ კითხვებს საქართველოს ხელისუფლების მიმართ, როდესაც მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ აღიძრა საქმე. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისგან იგნორირებულია ევროპული სივრცე. მიშას შესაძლო დაკავებას ევროპელები ძალიან მწარედ აღიქვამენ. როგორც კი მიხეილ სააკაშვილზე პროკურატურამ შიდა ძებნა გამოაცხადა, ევროპელები აღშფოთდნენ და იცით, რატომ? დღემდე ვერ შეძლო ქართულმა დიპლომატიამ, ევროპასა და ევროპელებს დაუმტკიცოს, რატომ გააკეთა ეს საქართველოს ხელისუფლებამ. ეს ყველაფერი მიუთითებს ჩვენი მთავრობის აბსოლუტურ უსუსურობაზე საგარეო კუთხით. საქართველოს ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება სააკაშვილის დაპატიმრება და მერე საქართველოში მისი ექსტრადირება, რადგან დღემდე როდესაც მომზადებული არ გაქვს ნიადაგი საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებთან, თუ რატომ უნდა იყოს დაკავებული სააკაშვილი, არ აწვდი ფაქტებს, ინფორმაციებს და არ მუშაობ, მათ ძალიან უჭირთ ასეთი რაღაცების გაგება. ამიტომაც არ უნდა გაუკვირდეს ხელისუფლებას, როცა ევროკავშირი ასეთ მწვავე რეაქციებს იძლევა. ელემენტარულ ფაქტს გეტყვით, რამდენიმე თვის წინ ოთხმა სენატორმა საქართველოში გამოგზავნა წერილი, საქართველოს ოთხმა დეპუტატმა კი უპასუხა ქართულ გაზეთებში. როცა საქართველოს ხელისუფლების რამდენიმე წევრს ვუთხარი, რას აკეთებთ, ქართულ ნაწერს ვინ გაიგებს-მეთქი, ჰონორით დამიწყეს ლაპარაკი, ბიჭო, ეს დანიშნულების ადგილამდე მივაო. მეორე დღეს ამ ოთხი ქართველი დეპუტატის წერილი გამოაქვეყნეს ისეთ გაზეთში, რომლის არსებობაც, მთავარი რედაქტორის გარდა, არ იცის არავინ. რა თქმა უნდა, ევროპელ დეპუტატებს ძალიან ბევრი კითხვა აქვთ და თუ შენ არ უპასუხე ამ კითხვებს და არ დაუსაბუთე, რა თქმა უნდა, ისინი ვერ გაიგებენ სააკაშვილის დაპატიმრებას და პროტესტსაც გამოთქვამენ.



„დათო უსუფაშვილის ვიზიტები ბრიუსელში 22 შეხვედრიდან, 18 ჩემი გაკეთებულია 2012 წლის 1-ელ ოქტომბრამდე, მაშინ, როცა მათმა ლობისტებმა 22 შეხვედრიდან მხოლოდ 4 გააკეთეს“



„მიხეილ სააკაშვილის საბერძნეთში შეყოვნებაზე ევროპაში არავინაც არაფერს ამბობს, მაგრამ საკმაოდ ხშირად სვამენ კითხვებს საქართველოს ხელისუფლების მიმართ, როდესაც მიხეილ სააკაშვილის წინაღმდეგ აღიძრა საქმე. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისგან იგნორირებულია ევროპული სივრცე“

**— საქართველოში ჩამოსულია მსოფლიოში აღიარებული პოლიტოლოგი ფრენსის ფუკუიამა, რომლის გამოსვლაც ძირითადად სააკაშვილის მხარდასაჭერი აქცია უფრო იყო. როგორ ფიქრობთ, ეს პოლიტოლოგის მხრიდან იყო გაფრთხილება, რათა შეწყდეს სააკაშვილზე სამართლებრივი დევნა?**

– იცით, ვინ ჩამოიყვანა ფრენსის ფუკუიამა საქართველოში? „ნაციონალებმა“... ამ შენმა ფრენსის ფუკუიამამ ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი კედელზე გააკრა. ფუკუიამასთან შეხვედრაზე მაია ფანჯიკიძემ ვერც ერთ შეკითხვას პასუხი ვერ გასცა.

თქვენ იცით, რომ ამ ხელისუფლებამ მე შავ სიაში შემიყვანა? იმიტომ, რომ ვაკრიტიკებ. არჩევნებამდე როცა ვჭირდებოდი, სანამ 2012 წლის 1-ლი ოქტომბერი იქნებოდა, ღამის 3 საათზე მაღვიძებდნენ, ევროსტრუქტურებში ერთი შეხვედრა რომ მაინც გამეკეთებინა. დათო უსუფაშვილის ვიზიტები ბრიუსელში 22 შეხვედრიდან, 18 ჩემი გაკეთებულია 2012 წლის 1-ელ ოქტომბრამდე, მაშინ, როცა მათმა ლობისტებმა 22 შეხვედრიდან მხოლოდ 4 გააკეთეს. იქნება დაავიწყდა, ბაროზომ და ევროპის წამყვანმა პოლიტიკოსებმა ბიძინა ივანიშვილის მხარდასაჭერი განცხადებები რომ გააკეთეს, ვისი მომზადებული იყო ეს? ჯერ ჩემს მეილებზე მოდიოდა და შემდეგ ვუგზავნიდი „ქართულ ოცნებას“. ხომ გახსოვთ, რომ დაგმეს ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის ჩამორთმევა, ეს ყველაფერი ჩემი გაკეთებულია. ეს ყველაფერი შენახული მაქვს. სამაგიეროდ, ალისტრახო დანიშნეს თანამდებობაზე, რომელიც არჩევნებამდე „ქართული ოცნების“ „გაბანძებით“ იყო დაკავებული. მართლა არ მესმის, რატომ იქცევა ასე ხელისუფლება. გაფრთხილებთ, ბატონებო, რომ ეს ყველაფერი ძალიან ცუდად დამთავრდება.

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...




## ყველა პირველკლასელს საჩუქრად გაუმჯობესებული ნეთბუქები გადაეცემა

ახალი სასწავლო წლისთვის სახელმწიფო ყველა პირველკლასელს გაუმჯობესებული ტექნიკური მახასიათებლების მქონე ნეთბუქებს საჩუქრად გადასცემს. მაღალი ხარისხის კომპიუტერებს მიიღებენ დაწყებითი კლასის დამრიგებლებიც. (რეპორტიორი)

## რუსეთი და სომხეთი ერთობლივ სამხედრო სწავლებას იწყებენ



რუსეთი და სომხეთი „ალაგიაზის“ სამხედრო პოლიგონზე ერთობლივ ტაქტიკურ სწავლებას იწყებენ. მანევრებში 1 500-ზე მეტი სამხედრო პირი, ჯავშანტექნიკისა და სპეციალური სამხედრო ტექნიკის 300 ერთეული ჩაერთვება.

როგორც სომხური მედია იუწყება, სწავლებაში რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქის გაძლიერებული მოტომსროლელი ბატალიონი და მეოთხე თაობის „მიგ-29“-ის ესკადრილია მონაწილეობს. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შსს-მ ქურდობის ფაქტი გახსნა



შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს, გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მეორე განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად 2 არასრულწლოვანი: 1997 წელს დაბადებული ბესო დ. და 1998 წელს დაბადებული თორნიკე ს. ჯგუფურად ჩადენილი ქურდობის ბრალდებით დააკავეს. ისინი იმ დროს დააკავეს, როცა სარეალიზაციოდ გამზადებული მოპარული ნივთების ტრანსპორტირებას აპირებდნენ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები გლდანის რაიონში სისტემატურად ქურდავდნენ საცხოვრებელ ბინებს. დაკავებულებმა ქურდობის 7 ფაქტი აღიარეს. სამართალდამცველებმა ნაქურდალი ოქროს, ვერცხლის სამკაულები, ფული, საოჯახო ტექნიკა და აპარატურა ნივთმტკიცებად ამოიღეს. (ნიუპოსტი)


№129 (3059) 04.09 2014წ

რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# რა პრობლემები აქვს ბიუჯეტს და გაუფასურდება თუ არა ლარი?

**ეკონომიკის ექსპერტი რომან გოცირიძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე თბილისის მერიის მიერ აღებულ 30 მილიონ ლარის სესხთან დაკავშირებით წერს:**

**„მძიმე ვითარებაა ბიუჯეტში. კვლავ ვერ ხერხდება თანხების ათვისება. 8 თვეში დაიხარჯა 5,3 მილიარდი ლარი. დარჩენილ 4 თვეში უნდა დაიხარჯოს 3,8 მილიარდი. ეს შეუძლებელია. თუ მართლაც ასე მოხდება, შარშანდელი დეკემბერი განმეორდება. ამის შესახებ მკაცრად გააფრთხილა სავალუტო ფონდმა საქართველოს მთავრობა ამ ერთი თვის წინათ, როცა 154 მილიონი დოლარის ოდენობის სესხი გამოგვიყო. პირველად, ბოლო 10 წლის განმავლობაში თბილისის ბიუჯეტმა 30 მილიონი ლარი ისესხა კომერციული ბანკიდან. ეს ბიზნესისთვის წართმეული ფულია. ცუდი სიგნალია. ძველი დროის ასოციაციებს იწვევს“.**

**„ალიას“ რომან გოცირიძე ესაუბრა:**

**— ბატონო რომან, თანხის ათვისება რატომ იქნება შეუძლებელი, როგორც ვიცი, ბევრი პროექტია დასაფინანსებელი, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის, სოციალური პროგრამები.**

– ვერ ხერხდება ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება. მიილია თბილი თვეები. შემოდგომა-ზამთარში კიდევ უფრო გართულდება მშენებლობის პროცესი. გაუგებარია, რისი ბრალია, ამას სერიოზული შესწავლა სჭირდება. ამაში ცუდი ისიცაა, რომ ბიუჯეტში იქმნება ილუზია ზედმეტი თანხის არსებობისა და ჩნდება ცდუნება, გამოყენებული იქნას ისეთი სფეროების დასაფინანსებლად, რომელსაც ექნება ინფლაციური ზემოქმედება და ლარზე ზეწოლის ხასიათი. დარჩენილ ოთხ თვეში რომ ლამის თითო მილიარდია ყოველთვიურად დასახარჯი, ეს დამაფიქრებელია.

უნდა დავსვათ მთავარი კითხვა, აქვს თუ არა მთავრობას ისეთი ხელგაშლილი საბიუჯეტო ცხოვრების უფლება, როგორსაც იგი ეწევა? როდემდე უნდა ვიყოთ სესხების იმედზე. რატომ იზრდება შიდა ვალი და რა მოხდება მომავალში, როცა შემოსავლის ეს წყარო შეუმცირდება, ხოლო უკვე გაწეულია ისეთი ხარჯები, რომლებიც არ არის ერთჯერადი, განმეორებადია და მრავალი წლის განმავლობაში იქნება დასაფინანსებელი. აქ არაფერს ვამბობ იმაზე, რამდენად ეფექტიანად იხარჯება ეს ფული. საკმარისია, გადავხედოთ ჩვენი ბიუჯეტის შემოსავლების წყაროებს და ყველა დაფიქრდება მომავალ საფრთხეებზე. 2014 წლის ბიუჯეტის შემოსავლები დაგეგმილია 9,105 მილიარდი ლარის ოდენობით, აქედან 1,636 მილიარდი არის სესხი, ანუ ეს არის მთელი შემოსავლების 18%. 600 მილიონ ლარს იღებენ სესხად ქართული კომერციული ბანკებიდან, 1 მილიარდ ლარზე მეტს უცხოეთიდან. ეს თანხა არის საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად და სხვა საჭიროებებისათვის.

**— თქვენ ბიზნესისთვის წართმეულ თანხებზე საუბრობდით...**

– სხვათა შორის, ამ 600 მილიონი ლარის ოდენობის შიდა ვალის აღება ჯანსაღი ბიზნესისთვის წართმეული სახსრებია. ამით ხელს უწყობენ ბანკების გაზარმაცებასაც. დღეს მეანაბრეებისგან კომერციული ბანკები ფულს სესხულობენ დაახლოებით 5 პროცენტად უცხოურ ვალუტაში და 8 პროცენტად ადგილობრივში, როცა საშუალო შეწონილი განაკვეთი დეპოზიტებზე 6,1 პროცენტია და თავის მხრივ, გადაასესხებენ მთავრობაზე 6,5-10 პროცენტად და უფრო მეტად ვადიანობის მიხედვით. ახლა თბილისის მერიასაც მოუნდა ვალებში გადავარდნა.

**— ნარმანია ამბობს, შეიძლება არც ავიღოთ ვალი, მაგრამ თუ დაგვჭირდა, კონკურსს გამოვაცხადებთ და ვინც ნაკლებ პროცენტში მოგვცემს კრედიტს, იმ ბანკისგან ვისესხებთო. ეს როგორ არის ბიზნესისთვის წართმეული ფული?**

– მთავრობასაც აუქციონზე გააქვს თავისი სახაზინო ვალდებულებები და სესხულობს იმათგან, ვინც ნაკლებ პროცენტად მისცემს. ეს არ ცვლის არსებით მანკიერ მხარეს. ამ პროცენტს ხომ გასტუმრება უნდა. ეს ყოველწლიურად ას მილიონამდე ლარია მხოლოდ საპროცენტო გადასახდელი თანხა და მხოლოდ შიდა სესხებზე. არაფერს ვამბობ საგარეოზე. თბილისის ბიუჯეტის, ისევე როგორც ყველა სხვა ადგილობრივი ბიუჯეტის აბსოლუტური უმრავლესობა, ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება. თუ ასეთი აუცილებლობაა, მისცეს ფული მთავრობამ. ისედაც აუთვისებელია უამრავი თანხა, რომელიც ინფრასტრუქტურული პროექტებისთვისაა გათვალისწინებული და რომლის წელს მთლიანად დახარჯვა ძნელად წარმოსადგენია. მაგრამ ეს ძნელი პროცედურაა. უნდა შეიცვალოს ბიუჯეტი, დაარწმუნო მთავრობა და პარლამენტი იმაში, რომ ეს უფრო სჭირდება მერიას, ვიდრე პენსიონერებს. ამიტომ უფრო მარტივი გზა აირჩიეს: საკრებულოს დარწმუნება უფრო ადვილია, ვიდრე ასეთი რთული, მაგრამ ჯანსაღი კონკურენტული გზის გავლა.

**— სავალუტო ფონდი ახსენეთ თქვენს „პოსტში“. ანუ, ისინიც ურჩევენ მთავრობას, რომ ვალებს შეეშვან და ბიუჯეტიც დროულად შეასრულონ?**

– კი, ზუსტად ასეთი ჩანაწერი არსებობს ფონდის დირექტორთა საბჭოს მიერ გავრცელებულ დოკუმენტში. მათაც მიაჩნიათ, რომ შარშან ზამთარში ლარის მკვეთრი გაუფასურება სწორედ ბიუჯეტის არარიტმულმა ხარჯვამ განაპირობა.

**— შარშანდელი დეკემბერი განმეორდებაო, როცა ამბობთ, ამას გულისხმობთ?**

– დიახ. მან დაღი დაამჩნია მთელი 2014 წლის საფინანსო ცხოვრებას. მიმდინარე წლის პირველი 7 თვის განმავლობაში ძალიან მყიფე წონასწორობა იყო სავალუტო ბირჟაზე, რადგან ეროვნული ბანკი არ ახორციელებდა ინტერვენციას: არც უცხოურ ვალუტას ყიდულობდა და არც ქართულ ლარს. ბოლო 10 წლის განმავლობაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ეროვნული ბანკი უცხოური რეზერვების გაზრდას ვერ ახერხებდა. საერთოდ, ბოლო წლებში ლარის მკვეთრი გამყარების ტენდენცია შეიმჩნეოდა იმიტომ, რომ უცხოური ვალუტის მიწოდება დიდი რაოდენობით ხდებოდა, მაგრამ შარშან, დეკემბერში, რაც ლარის დევალვაცია დაიწყო, მისი მკვეთრი დაცემის თავიდან ასაცილებლად ეროვნულ ბანკს მარტო დეკემბერ-იანვარში 470 მილიონი დოლარის გაყიდვა დასჭირდა, რითაც ლარის კიდევ უფრო მეტი ვარდნა გააჩერა. შეიქმნა მეტ-ნაკლებად კრიზისული მდგომარეობა იმიტომ, რომ ეროვნული ბანკის რეზერვები შარშანდელ ზაფხულში თუ იყო 3,1 მილიარდი დოლარი, ახლა მხოლოდ 2,5 მილიარდია, ანუ აშკარაა, რომ ერთი წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვები ძალიან შემცირდა. ეს გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, ბიუჯეტის შემოსავლებში დანაკლისით და მეორე მხრივ, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, ბიუჯეტის არათანაბარზომიერი შესრულებით დროის მიხედვით.

**— კერძოდ? კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

– ხარჯების დიდი რაოდენობა გაწეული იყო ნოემბერ-დეკემბერში. მაშინ ბიუჯეტი 600 მილიონი ლარით იყო შემოსავლებში გარღვეული. მთავრობამ დახარჯა იმ ფულის ნაშთი, რომელიც მას ჰქონდა წინა მთავრობის მიერ დატოვებული (თითქმის 900 მილიონი ლარიდან წლის ბოლოს მხოლოდ 287 მილიონი ლარი დარჩა ანგარიშზე). ანუ მთავრობამ წინა საბიუჯეტო წელი გადააგორა წინამორბედის მიერ დატოვებული ფულით, მიმდინარე წელი კი შიდა ვალის მნიშვნელოვანი ოდენობით ზრდით. რა იქნება მომავალი წლის „პანაცეა“, ძნელი სათქმელია. თუ სავალუტო ფონდის „ჭკუის დარიგებას“ დავაკვირდებით, გვეუბნებიან, საკუთარი საგადასახადო შემოსავლები გაზარდეთო. ამას კი სწრაფი ეკონომიკური ზრდა სჭირდება. ამ თვეში ერთი სასიამოვნო ფაქტი მოხდა: ეროვნულმა შეისყიდა 100 მილიონი დოლარი სავალუტო ბაზარზე და გაზარდა რეზერვები. ლარის გამყარების ტენდენცია, პირველ რიგში, სეზონური ფაქტორითაც არის განპირობებული – კერძოდ, ტურისტული შემოსავლების ზრდით. საჭიროა ლარის სტაბილურობის ამ ტენდენციის შენარჩუნება და ის არ უნდა „დავაფრთხოთ“ „საშიში“ ბიუჯეტით, განსაკუთრებით ზამთრის ბნელ დღეებში...



**ჟანა ასანიძე**

**558 00 16 16**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პარლამენტმა უკრაინასთან დაკავშირებული რეზოლუცია მიიღო

საქართველოს პარლამენტმა უკრაინასთან დაკავშირებული რეზოლუცია მიიღო, რომელსაც საპარლამენტო უმცირესობამ მხარი არ დაუჭირა.

საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ მიუთითებს უკრაინაში განვითარებული მოვლენების შესახებ თავის 2013 წლის 11 დეკემბრის განცხადებასა და 2014 წლის 5 მარტის რეზოლუციაში ჩამოყალიბებულ მიდგომებზე. ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დასავლელი პარტნიორი სახელმწიფოების მონაცემებით, რუსეთი არათუ მხარს უჭერს, წვრთნის, აიარაღებს და აფინანსებს უკრაინის სამხრეთ აღმოსავლეთში მოქმედ სეპარატისტულ ძალებს, არამედ დაუფარავ სამხედრო აგრესიას ახორციელებს მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ. სახეზეა დაძაბულობის შემდგომი ესკალაციისა და ორ სახელმწიფოს შორის ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირების პერსპექტივა, რაც აშკარა საფრთხეს უქმნის რეგიონალურ, ისევე როგორც საერთაშორისო მშვიდობასა და სტაბილურობას. განსაკუთრებით შემაშფოთებელია მზარდი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში, უსახლკაროდ დარჩენილთა რაოდენობისა და დევნილთა ნაკადის ზრდა. მიუხედავად საერთაშორისო დონეზე მიღებული გამაფრთხილებელი მოწოდებებისა და სხვადასხვა ფორმატებში წარმოებული მოლაპარაკებებისა, რუსეთი არღვევს საერთაშორისოდ აღიარებულ სამართლის ნორმებსა და პრინციპებს, როგორც ეს საქართველოსთან მიმართებაში დღემდე ხდება 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ.

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს პარლამენტი:

1. კიდევ ერთხელ უცხადებს სოლიდარობას უკრაინის ხელისუფლებასა და ხალხს, ადასტურებს მტკიცე მხარდაჭერას უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი

2. სრულად უჭერს მხარს საქართველოს მთავრობის მიერ გამოხატულ პოზიციას უკრაინაში შექმნილ კრიზისულ მდგომარეობასთან დაკავშირებით და მის ძალისხმევას უკრაინის დასახმარებლად;



3. გმობს აგრესიას სუვერენული უკრაინის მიმართ, რაც არა მარტო ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და პრინციპებს, არამედ შეუქცევადს ხდის საომარი მოქმედებების ესკალაციის პროცესს, რაც კატასტროფულ შედეგებს მოუტანს საერთო ევროპულ უსაფრთხოებას, განაპირობებს ჰუმანიტარულ კრიზისს და ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებს.

4. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, უარი თქვას ნებისმიერი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ხასიათის უთანხმოების ძალისმიერი მეთოდით გადაჭრის მცდელობაზე და მხარს უჭერს საერთაშორისო თანამეგობრობის, ისევე როგორც უკრაინის ხელისუფლების ძალისხმევას კრიზისის მოლაპარაკების გზით დაძლევის უზრუნველსაყოფად.

5. მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა რესურსი უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებებისა და აგრესიის შეჩერების, დაძაბულობის დეესკალაციისა და ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარების მიზნით.

6. მოუწოდებს ნატოსა და ევროკავშირს მიიღოს ეფექტური ზომები როგორც უკრაინის, ასევე საქართველოსა და მოლდოვის უსაფრთხოების გაძლიერების და ამ მიზნით ერთიან ევროატლანტიკურ სისტემაში ინტეგრაციის დაჩქარებისთვის. (ნიუპოსტი)

# „ნაციონალებმა“ უცხოელი პედაგოგები პიარისთვის ჩამოიყვანეს, რაში დასჭირდა „ოცნებას“ იგივეს გაკეთება?



გავრცელებული ინფორმაციით, უცხოეთიდან ინგლისური მასწავლებლების ჩამოყვანას ისევ აპირებენ. „ნაციონალები“ ამას პიარისთვის იყენებდნენ, სოფლებშიც კი ისწავლიან ბავშვები ინგლისურსო, მაგრამ ეს მამალი ტყუილი აღმოჩნდა, იმ უცხოელებისგან ბავშვებს არაფერი უსწავლიათ. რაში დასჭირდა „ოცნების“ ხელისუფლებას იგივეს განმეორება?

როგორც საგანმანათლებლო პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ კოორდინატორმა ნელი ყარაშვილმა განაცხადა, 40-კაციანი უცხოელი მოხალისე მასწავლებლების ნაკადი ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კანადიდან და დიდი ბრიტანეთიდან საქართველოში 30 აგვისტოს ჩამოვიდა და თანაბრად გადანაწილდა საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის მაღალმთიან რეგიონებშიც. მოხალისე მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან მოსწავლეების ინგლისური ენის საკომუნიკაციო და სმენითი უნარების გაუმჯობესებაზე. მონიტორინგისა და გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით პროგრამა წარმატებით მიმდინარეობსო.

რაში გვჭირდება ეს მასწავლებლები, განათლების სამინისტრო ხომ გვიმტკიცებს, კვალიფიციური პედაგოგები გვყავსო? თანაც ამ უცხოელებს 500 ლარი უნდა ვუხადოთ, კომუნალურ ხარჯებსაც და კვებასაც სახელმწიფო უნაზღაურებს, როცა ჩვენს მასწავლებლებს 300 ლარი აქვთ ხელფასი. რატომ? გარდა ამისა, რით ვართ დაზღვეულები, რომ არ გამეორდება მსგავსი სკანდალი, რაც ზუგდიდში ფლეტჩერთან დაკავშირებით მოხდა, როდესაც მან „ფეისბუკზე“ გარყვნილების ამსახველი ფოტო ატვირთა? აი, ის კითხვები, რაც გაგვიჩნდა და რის კითხვაც გვინდოდა ნელი ყარაშვილისთვის, მაგრამ მისგან პასუხს ვერ ვეღირსეთ, მიუხედავად იმისა, რომ კითხვები წერილობით გადავუგზავნეთ.

ამის შემდეგ უკვე განათლების სამინისტროს დავუკავშირდით. გვესაუბრება განათლების სამინისტროს წარმომადგენელი **ნინო ელბაქიძე**:

– ეს პროგრამა უკვე 4 წელია, ფუნქციონირებს და მასში ნამდვილად იყო ხარვეზები, მაგრამ დროთა განმავლობაში მოხდა ამ პროგრამის ანალიზი და აღმოჩნდა, რომ რიგი საკითხებისა იყო შესაცვლელი. ფლეტჩერის საკითხი იყო მნიშვნელოვანი და ამის მთავარი მიზეზი გახლდათ ის, რომ პროგრამაში შემოსვლა შეეძლო ყველა მსურველს, ვისაც სურდა ქართულ სკოლაში მუშაობა მასწავლებლად და მათ ამის უფლება ეძლეოდათ. ეს იყო ყველაზე დიდი ხარვეზი პროგრამისა და გაანალიზების შემდეგ შეიცვალა ის, რომ ნებისმიერ მსურველს კი არ ჰქონდეს ამის საშუალება, არამედ ამ მასწავლებლებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს პედაგოგიური გამოცდილება, ანუ ჩვენ კლასში ყველას არ ვუშვებთ. ეს უცხოელი მასწავლებლები ადგილს არავის ართმევენ და ეს არ ნიშნავს, რომ მან გამოდევნა ჩვენი მასწავლებელი სკოლიდან. გარდა ამისა, ჩვენ ეს მასწავლებლები ძალით არ ჩამოგვყავს, აუცილებლად სკოლიდან უნდა იყოს მოთხოვნა და თუ სკოლას უცხოელი მასწავლებელი არ უნდა, ჩვენ მას ძალით ვერ შევთავაზებთ და მათი ფუნქცია-მოვალეობები ახლა განსხვავდება იმისგან, რაც მათ ჰქონდათ დასაწყისში. ასე რომ, ესაა კონტროლირებადი პროგრამა და ბოლოს შედეგებით ვაფასებთ მათ მუშაობას. მონიტორინგი კი ძალზე ინტენსიურად ჩატარდება ამ პროგრამის. ჩვენი დაკვირვების ქვეშ იქნება ამ მასწავლებლის ყოფა, დირექტორის გამოკითხვა მოხდება, მასწავლებლებისა და იმ ოჯახის, სადაც ეს ადამიანი იქნება.

**ამის შემდეგ უკვე დავუკავშირდით განათლების ექსპერტს მანანა ნიკოლაიშვილს:**

– ეს საკმაოდ რთული საკითხია, რადგანაც ეს პროექტი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სახელმწიფო პროგრამაა და ამით ყველაფერია ნათქვამი.

**— და რახან ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამაა, ამიტომ ფლეტჩერები უნდა ჩამოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში პატარა ბავშვებთან მასწავლებლებად?**

– ფლეტჩერი ნამდვილად არ უნდა გვყავდეს, მაგრამ აქვე ვიტყვი, რომ თავისთავად ეს პროგრამა ცუდი ნამდვილად არ იქნებოდა, ეს მასწავლებლები რომ იყვნენ მაღალკვალიფიციური კადრები და მართლაც პროფესიონალები რომ ჩამოდიოდნენ, ამ შემთხვევაში ენას მაღალ დონეზე ასწავლიდნენ ბავშვებს და რა იქნებოდა ცუდი? მასწავლებელსაც სჭირდება უშუალოდ მაღალპროფესიონალთან გარკვეული კონტაქტი, ეს მოხმარდებოდა მათ მეთოდურ დაოსტატებას და ეს ყველაფერი წაადგებოდა საქმეს.

**— და ამ პროგრამით რომელი მაღალპროფესიონალი ჩამოვიდა საქართველოში?**

– ამ პროექტში თავად ამერიკის დეპარტამენტმა უნდა შეიტანოს შესწორება ხარისხობრივი კუთხით, ანუ უნდა გამოგზავნონ აქ პროფესიონალები, მაგრამ ეს ვერ კეთდება, რადგანაც საზღვარგარეთ მასწავლებლებს ძალიან მაღალი ანაზღაურება აქვთ, ლაპარაკია წელიწადში 100 000 დოლარზე მეტ თანხაზე და ასეთ პედაგოგს აქ ვინ გადაუხდის ამხელა თანხას?

**— ამიტომ უნდა ჩამოვიდნენ ყარტაყურტა ადამიანები, რომლებსაც პედაგოგიკასთან არანაირი შეხება არ აქვთ?**

– ამიტომ, ასეთი რამ რომ არ მოხდეს, დეპარტამენტმა თავად უნდა დააფინანსოს ეს პროგრამა. სააკაშვილი ცრუობდა, როცა ამბობდა, ის მხარე აფინანსებს ამ პროგრამასო. ისინი, შესაძლოა, ამ მასწავლებლებს აქამდე გზის ფულს უფინანსებდნენ, მაგრამ მათი კვება, ხელფასი, ბინით უზრუნველყოფა, კომუნალური გადასახადები – ყველაფერი ჩვენს ბიუჯეტს მიება. ეს ძალიან ძვირადღირებულია და საქართველოს ბიუჯეტს ეს პროგრამა რამდენიმე მილიარდი დაუჯდა. და თუნდაც ამ 40 მასწავლებელს რამდენი დასჭირდება, იცით? მინიმუმ, ნახევარი მილიონი და ესენი ხომ ერთი თვით არ არიან ჩამოსულები? უმეტესობა მთელი წლით ჩამოვიდა, ამერიკა ამხელა ფულს არ დახარჯავს და ამიტომ არის ასეთი ხარვეზები. ჩემი აზრით, ეს პროგრამა არ უნდა განხორციელდეს და ჩემი რეკომენდაცია ესაა, რადგანაც, როგორც წინა წლებმა გვიჩვენა, ეს პროგრამა არაფერს იძლევა და იგივე იქნება ამჟამადაც. ჩვენთან ჩამოსული მასწავლებლები იყვნენ ბარმენები, მეეზოვეები, ინჟინრები, ზოგი მიმტანი იყო. ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეები კი იყვნენ, მაგრამ არა ამ ენის სპეციალისტები, ამიტომ ჩვენი სპეციალისტები იქით ასწავლიდნენ ენას და გრამატიკულ ნორმებს. რაც შეეხება ფლეტჩერისა და სხვა სკანდალურ შემთხვევებს, როცა ეს ჯგუფები კომპლექტდება, მაგას ვერავინ შეამოწმებდა.

**— ანუ ამ ჯერზეც დაზღვეული არ ვართ მსგავსი ქმედებებისგან?**

– (პაუზა) არა. როცა არაპროფესიონალია მასწავლებელი, რაზეა საუბარი? ვინ იკვლევს მის ინდივიდუალურ თვისებებს? ან რელიგიურ მსოფლმხედველობას?

**— მაინტერესებს, როცა სანაგვე ყუთში მოსასროლად არის გამზადებული 50 000-ზე მეტი მასწავლებელი და დიპლომებს გააუქმებენ საქართველოში, თუ სასერტიფიკაციო გამოცდებს არ ჩააბარებენ და ჩვენი გაზეთი ამის შესახებ წერდა, ეს როგორ ხდება, მასწავლებლები ასე უპრაგონოდ რომ შემოჰყავთ?**

– მეც მაინტერესებს, რა ხდება საქართველოში? მარტო ჩვენთან კი არა, ნებისმიერ ქვეყანაში არავინ შეგიშვებს მასწავლებლად, თუ მანამდე არ ჩააბარე გამოცდები და არც კარიერაში არ შეგიშვებს არავინ, არც ერთი სახელმწიფო და საქართველოში ამას რატომ არ აკეთებენ? ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია და გარდა ამისა, პროფესიული თვალსაზრისით, არაპროფესიონალები რომ მოგყავს, და ამ დროს შენს მასწავლებლებს ამ გამოცდებს აბარებინებ, ეს დისკრიმინაცია არ არის? იმ თავიანთ ქვეყნებში, იმათი კანონმდებლობა ისეა მოწყობილი, ბავშვებს რომ ზნეობრივად და მორალურად მიუღებელი რამ ასწავლო, ანდა მერე სოციალური ქსელით გაავრცელო ეს კადრები... ჩვენთან რატომ არის ეს ფაქტი წახალისებული სახელმწიფო დონეზე? კი, ეს იმ ხელისუფლების დროს ხდებოდა, მაგრამ თქვენ მეკითხებით, რომ არ მოხდეს, რა არის ამის პრევენციაო და მე გპასუხობთ, რომ არაფერი! იმიტომ, რომ რასაც უნდა აკეთებდეს სახელმწიფო, დამცავ ზომებს ვგულისხმობ, ის არ კეთდება: შემოიყვანონ პროფესიონალები და შემდეგ, ამ პროფესიონალებსაც გამოცდა ჩაუტარონ. დაბოლოს, ამ მოხალისე ადამიანებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეთ ინსტრუქტაჟი და გააცნონ მათ ჩვენი კანონმდებლობა და საერთოდ, მათი „სივები“ უნდა იქნეს გადამოწმებული, ვინ და როგორები არიან, შემდეგ რაიმე გადაცდომას ხომ არ ჰქონდეს ადგილი. აი, ამის შემდეგ უნდა დაუშვან ეს ადამიანები ჩვენს ბავშვებთან სკოლებში.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ამდენი ჭორიკნობა და სიცრუე უკვე სასაცილოც აღარ არის“




საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საბერძნეთში გარკვეული პრობლემის შექმნის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება და აცხადებს:

„საქართველოს მთავრობას გაუვრცელებია ინფორმაცია, რომ მათი მოთხოვნის საფუძველზე, თურმე სადღაც დამაკავეს. რა შეიძლება ამაზე ითქვას? ამდენი ჭორიკნობა და სიცრუე უკვე სასაცილოც აღარ არის. საქართველოს დღევანდელი მმართველი ბიძინა ივანიშვილი და მისი მოურავი, თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ცდილობენ, მომწვდნენ იქამდე, სანამდეც მწვდებიან და იქ ჩამავლონ ხელი, მაგრამ არ გამოსდით. რა თქმა უნდა, მათ მოთხოვნებს არავინ სერიოზულად არ იღებს. სჯობს, ენერგია, რასაც აქეთ-იქით წერილების გზავნასა და რაღაცების შეთავაზებაში ხარჯავენ, დახარჯონ ქვეყნის შიგნით დანაშაულთან ბრძოლაში, თუნდაც ნატო-ს სამიტის წინ საქართველოს რეპუტაციის ამაღლებაზე“, – აღნიშნა ყოფილმა პრეზიდენტმა.

სააკაშვილმა „სამწუხარო“ უწოდა ვითარებას, როცა ყველაფერი კეთდება, რათა მოქმედი პრეზიდენტი ქვეყნიდან არ გაუშვან.

„სამწუხაროდ, ყველაფერი კეთდება, რათა ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტი არ გაუშვან, მე კი უკან ჩემს ქვეყანაში არ შემიშვან, არადა, ფაქტი ჯიუტია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში მე შევხდი უფრო მეტ მსოფლიო ლიდერს, ვიდრე მოქმედი მთავრობა ერთად აღებული. მე აღარ ვარ თანამდებობაზე, მაგრამ მეტი ხალხი მხვდება, ვიდრე საქართველოს მოქმედ პრემიერს და პრეზიდენტს ერთად აღებულს. ესაა ანომალიური სიტუაცია, ვნებს ქვეყანას. უნდა გავიაროთ ეს ეტაპი და დავიწყოთ საქმის კეთება“, – დასძინა სააკაშვილმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ნატო უკრაინას, საქართველოსა და მოლდოვას უნდა დაეხმაროს“



აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას განცხადებით, ნატომ უკრაინას, საქართველოსა და მოლდოვას უსაფრთხოების გაძლიერების საკითხში დახმარება უნდა გაუწიოს.

„ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა კონკრეტული ზომები უნდა მიიღოს, რათა დაეხმაროს უკრაინას მისი შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციასა და გაძლიერებაში. ჩვენ მეტი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ნატოს სხვა პარტნიორებს, მათ შორის საქართველოსა და მოლდოვას, უსაფრთხოების გაძლიერებაში დავეხმაროთ“, – განაცხადა ობამამ.

მისივე თქმით, ალიანსი ახალი წევრების მისაღებად და ასევე, მოქმედი წევრების დასაცავად მზად უნდა იყოს.

„ალიანსის ძალები მზად უნდა იყვნენ ნატოს ნებისმიერი მოკავშირის წინაშე არსებული საფრთხის მოსაგერიებლად. საჭიროა სწრაფი რეაგირების ძალების საბრძოლო მზადყოფნისა და მობილურობის გაზრდა“. – აღნიშნა ობამამ. (ფრონტნიუსი)

## დეპუტატო ლექსო თამაზაშვილო, ჭეშმარიტი „ქოცი“ ხარ – ხაჩიძე




– ლექსო თამაზაშვილო, აგერ ჩემს უკან რომ ზიხარ პარლამენტში და ამას წერ, წარმოდგენა მაინც თუ გაქვს, რა სიბრიყვეზე აწერ ხელს, როცა მსგავსი „ფეიკის“ გჯერა.

ჭეშმარიტი ქოცი ხარ, დეპუტატო ლექსო თამაზაშვილო, ღარიბაშვილის ცოლისძმავ და დიდი თამაზ თამაზაშვილის შვილო, – წერს გოგა ხაჩიძე და



ლექსო თამაზაშვილის „ფეისბუკიდან“ ფოტოს სახით „სქრინს“ აქვეყნებს.

შეგახსენებთ, რომ გუშინ, სოციალურ ქსელში დეპუტატ გოგა ხაჩიძის სახელით ყალბი „ექქაუნთი“ შეიქმნა.

***newposts.ge***

## ცოტნე გამსახურდია: „ეს მკვლელობები გაბრწყინების წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ“




– აკი, ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშიაო? მე ვერავინ დამარწმუნებს, ვერც „მორწმუნეები“ და ვერც „პრადვინუტები“, რომ თუ დღეს თბილისში 250 ეკლესიაა, კომუნისტების პერიოდისგან განსხვავებით, დღევანდელი ადამიანი უკეთესია, ვიდრე მაშინ იყო... ისიც საინტერესოა, ეს მკვლელობები გაბრწყინების წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ“, – წერს გამსახურდია „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

***pia.ge***

## ჩიორა თაქთაქიშვილი: „დავით უსუფაშვილმა დღეს ქვეყნის კონსტიტუცია სანაგვეზე მოისროლა“



– მან უკვე დახარჯა 27 მილიონი თბილისის შენობის გარემონტებაზე, იქ მოაწყო პარლამენტის ბიუროს, კომიტეტების, ფრაქციებისა და დეპუტატების ოთახები ზუსტად ისე, როგორც პარლამენტის ქუთაისში გადატანამდე იყო.

ოღონდ პროცედურული დემოკრატიის მამას გამორჩა ელემენტარული რამ, რომ ამ გადაწყვეტილებას სამართლებრივი საფუძველი სჭირდებოდა, ჯერ კონსტიტუციაში და შემდეგ რეგლამენტში ცვლილების სახით.

ამ ეტაპზე პარლამენტის თავმჯდომარე არღვევს კონსტიტუციას, რადგან არც ერთი ასეთი ცვლილება არ არსებობს ბუნებაში! მან პარლამენტის ადგილსამყოფლად თვითნებურად განსაზღვრა თბილისი და ქუთაისი. კონსტიტუცია კი ასეთ რამეს არ ცნობს და ცალსახად ამბობს, რომ პარლამენტის ადგილსამყოფელი არის მარტო ქალაქი ქუთაისი, განსხვავებით ძველი, 2009 წლის რედაქციისგან, სადაც ეწერა, რომ პარლამენტის ადგილსამყოფელი იყო ორივე, ქუთაისიც და თბილისიც, ოღონდ იმ დათქმით, რომ პლენარული სხდომები აუცილებლად ქუთაისში უნდა ჩატარებულიყო.

გაგახსენებთ, რომ დაშინებების, დაკითხვაზე დაბარებებისა და პრივილეგიების შეთავაზების მიუხედავად, დავით უსუფაშვილმა ვერ უზრუნველყო კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვება კონსტიტუციის ჩანაწერის შესაცვლელად. მაშინ მან თქვა, კონსტიტუციის ცვლილებით, თუ ცვლილების გარეშე, მაინც გადავალთ თბილისშიო! კონსტიტუცია მაინც ვერ შეცვალეს, აი, რეგლამენტში ცვლილება კი უპრობლემოდ შეეძლოთ მიეღოთ უბრალო უმრავლესობით. მაგრამ ასეთი ცვლილებაც კი არ არსებობს!

თუ მიაჩნიათ, რომ კონსტიტუციას არ არღვევენ, რატომ არ შეაქვთ ასეთი ცვლილება რეგლამენტში? იმიტომ, რომ კარგად იციან, რომ არღვევენ კონსტიტუციას და ასეთ აქტი აუცილებლად არაკონსტიტუციურად იქნება ცნობილი! აი, მერე კი ვიღაცას მოუწევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება 27 მილიონის თვითნებურ და არამიზნობრივ ხარჯვაზე, – წერს ჩიორა თაქთაქიშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

***newposts.ge***

## ნინა წკრიალაშვილი: „მალე ვანოს დაუჩოქებთ! მეძახეთ გიჟი, მკიდია! შვილებს გიკლავენ ყოველდღე!“



მომღერალი ნინა წკრიალაშვილი გუშინ თბილისში მომხდარ მკვლელობებს სოციალური ქსელის მეშვეობით გამოეხმაურა.

„ჭიკაიძე, ან იმუშავე ან წადი! ყოველდღე ვიღაცას კლავენ. მალე ვანოს დაუჩოქებთ! მეძახეთ გიჟი, მკიდია! შვილებს გიკლავენ ყოველდღე!“, – წერს ნინა წკრიალაშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

შეგახსენებთ, რომ გუშინ საღამოს ვაკეში, ბარნოვის ქუჩაზე მამაკაცი ჩაცხრილეს. ინფორმაციის თანახმად, გასროლა უცნობი ავტომანქანიდან მოხდა. 27 წლის ლაშა მახარაძე ამნისტირებული იყო. მას



16 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. მახარაძე მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული იყო და სასჯელს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით იხდიდა.

ლაშა მახარაძის მკვლელობასთან დაკავშირებით, საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

გუშინ ლილოში კიდევ ერთი მკვლელობა რესტორანში მოხდა. გარდაცვლილი ეთნიკური აზერბაიჯანელია. შსს-ს ცნობით, მკვლელობაში ეჭვმიტანილი დადგენილია და მიმდინარეობს დაკავებისთვის სპეციალური ღონისძიებები.

***newposts.ge***

## თეონა კონტრიძე: „საქართველო და რუსეთი – დედაჩემი და ჩემი დედინაცვალი, ჩემს პრობლემას ჰქვია რუსეთი და საქართველო“



მომღერალი თეონა კონტრიძე საქართველოში მიმდინარე მოვლენებს რუსეთიდან ეხმაურება.

– დღემდე ვერ გამიგია შეუძლია თუ არა საქართველოს შიშის ფაქტორის გარეშე ცხოვრება?.. თუ როგორც სტალინმა გადაასახლა ჩეჩნები შუა აზიაში, რამეთუ მიხვდა, რომ აზრი არ ჰქონდა მათთან საუბარს. ასევე, ნახევარი საქართველო უბრალოდ ციხეში უნდა იჯდეს, რომ სიმშვიდე იყოს?.. – წერს კონტრიძე.

მოგვიანებით ამ თემაზე მან კიდევ ერთი სტატუსი გამოაქვეყნა:

– საქართველო და რუსეთი... დედაჩემი და ჩემი დედინაცვალი, ოღონდ საყვარელი დედინაცვალი. რა სამწუხაროა, რომ ორი ჩემი უსაყვარლესი ქვეყანა ლეთარგიული ძილით არის მოცული. ალკოჰოლიკი ვერასოდეს განიკურნება, თუ თავის თავთან არ აღიარა, რომ ავადაა. განკურნება იწყება აღიარებით. ყოველდღე ვტირი, ასეთი საშინელი პერიოდი არასოდეს მქონია. ყველა ჩემი პრობლემის გადაჭრა ჩემს მონდომებაზე იყო დამოკიდებული. ახლანდელი პრობლემა, სამწუხაროდ, საერთოდ არ არის ჩემზე დამოკიდებული. ჩემს პრობლემას ჰქვია რუსეთი და საქართველო... – წერს კონტრიძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

***pia.ge***

## ნინი ბადურაშვილი: „თქვე მანიაკებო, სულით მახინჯებო, წაეთრიეთ, ეგდეთ ციხეში და თქვენი ბოლმა იმ ოთხ კედელში ანთხიეთ“



– ეს ქვეყანაა თუ ჯოჯოხეთი!? მერამდენე მკვლელობას უნდა ვიგებდე ამ ერთი კვირის განმავლობაში?! რით ვერ გამოვიდა ამათი ბნელი ტვინი 90-იანებიდან და რით ვერ დააყენეს ერთი ადგილი! თქვე მანიაკებო, სულით მახინჯებო, წაეთრიეთ და ეგდეთ ციხეში და თქვენი ბოლმა იმ ოთხ კედელში ანთხიეთ და ნუ გვიკლავთ ახლობლებს! მთავრობავ, რას აკეთებ?! გონს მოეგე, სანამ კიდევ გვიანი არაა!!! – წერს ნინი ბადურაშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

***newposts.ge***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



ახალგაზრდა მამაკაცი პროფესორ აღმოსავლეთმცოდნეს მიმართავს:

– ღრმად პატივცემულო, თქვენი ქალიშვილის ხელი მინდა გთხოვოთ!

– იცით, რაშია საქმე, ყმაწვილო? – პათოსით დაიწყო პროფესორმა, – პასუხი დიდი დრაკონისგან უნდა მივიღო, როგორც ამას აღმოსავლელი ბრძენი ხალხი აკეთებდა.

– არ არის საჭირო, ღრმად პატივცემულო, კურთხევა უკვე მივიღეთ თქვენი მეუღლისგან!..

*****

– როგორ გაქვს საქმეები?

– შოკოლადივით! შენ?

– პრინციპში, ფერი ჩემთანაც იგივეა...

*****

– კოტე, როცა სახლში არ ხარ, მეზობლები შენზე ისეთებს ლაპარაკობენ ხოლმე!..

– კაი, თუ ძმა ხარ – როცა სახლში არ ვარ, თუ უნდათ, მაგრადაც ვუცემივარ!

*****

საგადასახადოს თანამშრომლის სახლში ტელეფონი რეკავს. ზარს მოახლე პასუხობს:

– სახლში არ გახლავთ. ვინ კითხულობს?

– მეგობარი ვარ მისი.

– უი, ეტყობა, ნომერი შეგეშალათ!..

*****

– თუკი დაუმსახურებლად გაგაბრაზეს, დაბრუნდით და დაიმსახურეთ!..

*****



ქმარი სახლში გადასწორებული მთვრალი დაბრუნდა. ცოლი ეჩხუბება:

– ისევ დალიე, შე მიწადასაყრელო, არა?!

– არ დამილევია!

– ფეხზე ძლივს დგახარ და როგორ არ დაგილევია?!

– ვაახ, კაცო, არ დამილევია-მეთქი!

– აქოთებული რომ ხარ?!

– არ დამილევია, ქალო, არა!!!

– კარგი, აბა, თქვი – ‘ჰიდროელექტროსადგური“...

– დავლიე!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

# ამერიკელების ბირთვული იარაღის ყველაზე სულელური სახეობები

– რაზეც არ უნდა მუშაობდნენ მეცნიერები, ბოლოს მაინც იარაღს იღებენ, – ეს სიტყვები ამერიკელ მწერალსა და სატირიკოსს, კურტ ვონეგუტს ეკუთვნის და ალბათ, ძალიან რთულია, მას არ დაეთანხმო. როგორც კი ადამიანებმა ქიმიკატების შერევა ისწავლეს, მაშინვე ყველაფრის აფეთქებას მიჰყვეს ხელი, რაც კი მოძრაობს. ჰოდა, გლობალური პირომანიის ლოგიკური შედეგი და აპოთეოზი ატომური ბომბი გახდა. მისი ჩამოგდება ძალიან ადვილად შეიძლებოდა თვითმფრინავიდან და ადგილის დატოვებაც არ წარმოადგენდა დიდ პრობლემას, შედეგების შესახებ კი ინფორმაციის მიღება დილის გაზეთებიდანაც მოხერხდებოდა. გავიდა დრო და ადამიანებმა ატომური ბომბის მხოლოდ თვითმფრინავიდან სროლა არ იკმარეს და ბირთვული საბრძოლო მასალის ჩატენა დაიწყეს, მაგალითად, ქვეითთა ზურგჩანთებში, გრძელლულიან ნაღმმტყორცნებში, ქვემეხებში და ასევე, ატომურ ნაღმებს ფრინველებსაც კი ჰკიდებდნენ. რა, ჭკუა დაუშლიდა ვინმეს თუ გონება?





მოკლედ, გთავაზობთ ცივი ომის დროინდელი ატომური იარაღის ხუთ ყველაზე სულელურ სახეობას, რომლებზეც მილიონობით დოლარი იქნა დახარჯული.

1. დეივი კროკეტი – ამ „მსუბუქ“ ატომურ იარაღს სახელწოდება ერთ-ერთი ამერიკელი სახალხო გმირის პატივსაცემად შეურჩიეს. მისი დანიშნულება საბჭოთა კავშირის კოლონების შეკავება გახლდათ, თუკი ისინი გაბედავდნენ და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან შესვლას გადაწყვეტდნენ.

სპეციალისტების შეფასებით, ყველაზე საშინელი „დეივი კროკეტში“ დანადგარის ტექნიკური იდეა გახლავთ. კერძოდ, მისი მიზანში სროლის სიზუსტე დაახლოებით ისეთ მდგომარეობასთან იგივდება, როცა უგონოდ მთვრალი ადამიანი მაწვნის ქილაში მოშარდვას ცდილობს. ანუ, 3 მილის მანძილზე სროლისას, კაციშვილი ვერ გაიგებდა, ზუსტად სად დავარდებოდა ჭურვი, რამდენ ადამიანს გამოასალმებდა სიცოცხლეს უშუალოდ აფეთქებისას და რამდენი აღესრულებოდა სასიკვდილო ნივთიერების ჰაერში გაფანტვის შედეგად.

გარდა ამისა, საკმაოდ სახიფათო იყო დანადგარის ჭურვები არასაბრძოლო მდგომარეობაშიც, რადგან ის დასაშვებზე ბევრად მეტ დასხივებას გამოსცემდა.

„დეივი კროკეტის“ მოვლა-პატრონობა და საჭიროების შემთხვევაში, საბრძოლო მიზნებისთვის გამოყენება სამ განწირულ ადამიანს ევალებოდა. ერთი თავად იარაღს დაატარებდა, მეორე შტატივს, ხოლო რადიონუკლიდური ოფლით დაცვარული მესამე სამხედროოს კი ჭურვის გადატანა ჰქონდა დავალებული.

დანადგარი ამერიკელებს ერთხელაც არ გამოუყენებიათ, შეიარაღებიდან კი გასული საუკუნის 70-იან წლებში მოიხსნა.



2. ატომური ენი – იგივე „ემ 65“ – 25 მეტრის სიგრძის მქონე ქვემეხი მონსტრი, რომლის დანიშნულებაც ასევე ბირთვული, 280 მმ კალიბრის მქონე ჭურვების სროლა გახლდათ. თითო დანადგარის შექმნა დაახლოებით 800 ათასი აშშ დოლარი ჯდებოდა.

სპეციალისტები არც „ატომურ ენის“ სწყალობენ და მის სროლას მოწამლული სიგარის მოწევას ადარებენ, თანაც ისეთ მომენტში, როცა ადამიანი უდაბნოს შუა გულში დენთით სავსე კასრზე საჯდომმომიშვლებული ზის.

ამერიკელებმა სულ 20 ერთეული „ემ 65“ გამოუშვეს, პირველი უკანასკნელი გამოცდა კი ნევადის უდაბნოში განხორციელდა, 1963 წლიდან ის შეიარაღებიდან მოიხსნა.



3. „ემკა-54“ – ეს საბრძოლო მასალა კიდევ უფრო სულელურია, ვიდრე ერთად აღებული „დეივი კროკეტი“ და „ატომური ენი“, რადგან ამ საათის მექანიზმიანი ბომბის გადატანა ჩვეულებრივ... ზურგჩანთით ხდებოდა.



წარმოიდგინეთ ასეთი სიტუაცია – მიდის ბირთვული იარაღით ზურგდამშვენებული ჯარისკაცი. უცბად გზაში მტრის შტაბს წააწყდება, მაშინვე მოიხსნის ზურგჩანთას, პირჯვარს გადაიწერს, ტაიმერს ჩართავს და თავქუდმოგლეჯილი მოკურცხლავს, მაგრამ იმედიც კი არ ექნება, რომ სირბილით უსაფრთხო ტერიტორიამდე მიაღწევს.

ახლა წარმოიდგინეთ, რამდენად რთული იქნებოდა 68-კილოგრამიანი ატომური ჭურვის თრევა ავტომატთან და საკვებისა და წყლის მარაგთან ერთად. ესეც რომ არ იყოს, ბირთვული ბომბი ძალიან სპეციფიკური რამეა – ფეხის გადაბრუნებას და წაქცევას შესაძლოა, საშინელი შედეგები მოჰყოლოდა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ამერიკამ რამდენიმე ასეული „ემკა-54“ ევროპაშიც ჩაიტანა, რათა საბჭოთა კავშირის თავდასხმას მომზადებული დახვედროდა.

4. ცისფერი ფარშევანგი – ბრიტანელი სპეციალისტები ამ დანადგარს საკმაოდ უცნაურ სახელწოდებას, „ქათმის სათბურს“ უწოდებდნენ, რისი მიზეზიც ის ფაქტი გახლდათ, რომ ბირთვული ნაღმები ლამანშის გრუნტში უნდა ჩაეფლათ. იმის გათვალისწინებით, რომ იქ ძალიან ციოდა, მილიტარისტები ზედაპირზე ცოცხალ ქათმებს უშვებდნენ, რათა მათი სხეულის სითბოს ბომბისთვის გაყინვის საშუალება არ მიეცა.

თითოეული ნაღმის აფეთქების სიმძლავრე 10 კილოტონა გახლდათ, მასა – 7 ტონა. ბომბი 1957 წელს შეიქმნა, თუმცა არც ერთი მათგანი მოქმედებაში არ მოსულა, ქათმები კი მშვიდობიანმა მოსახლეობამ შეჭამა. ამ სულელური პროექტის შესახებ საზოგადოებისთვის ცნობილი მხოლოდ 2004 წელს გახდა.

5. **W**-54 – ეს გახლავთ ყველაზე მინიატურული ბირთვული ქობინა, რომელიც ოდესმე შექმნილა. მისი წონა დაახლოებით 23 კილოგრამი იყო, ხოლო აფეთქების სიმძლავრე – 10 ტონა. არასაკმარისი ძალის გამო, ეს ბომბიც შეიარაღებიდან მალევე მოიხსნა.

**neobychno.com**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...



## პატრონს ეძებს

წარმოიდგინეთ, როგორი ალალი და გულმართალი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომელმაც ნიდერლანდების ქალაქ ბრედის ტყეში დამალული თუ დაკარგული 100 ათასი ევრო იპოვა და ბევრისთვის საოცნებო თანხა ჯიბეში კი არ გაიქანა, მაშინვე პოლიციაში გავარდა და საქმის კურსში სამართალდამცველები ჩააყენა.

აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტით თავად პოლიციელებიც კი გაკვირვებულები დარჩნენ, თუმცა კანონის შესაბამისად, მომხდარის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელეს და იმ ადამიანის ძებნა დაიწყეს, რომელსაც ტყეში ნაპოვნი 100 ათასი ევრო ეკუთვნის.

იმ შემთხვევაში, თუკი დაკარგული ფულის პატრონი გარკვეული დროის მანძილზე არ გამოცხადდა, ჰოლანდიის კანონმდებლობის თანახმად, მთელი თანხა მპოვნელს გადაეცემა.

**echo.msk.ru**

## ელექტროგენერატორის ფუნქციას... შარვლები შეასრულებს



ჯერ იყო და ქალებმა გაგვხადეს მამაკაცებს შარვლები, ახლა კი ენერგეტიკოსები აძლევენ დამატებით ფუნქციას ჩვენს განუყრელ სამოსს, თუმცა ეს უკანასკნელი გაცილებით საინტერესო და გამოსადეგია, ვიდრე პირველი.

საქმე ისაა, რომ ბრიტანელმა მეცნიერებმა გამოიგონეს ტექნოლოგია, რომელიც ელექტროენერგიის მიღებას შესაძლებელს გახდის შარვლების, სამოსის სხვა სახეობების, ხალიჩების და ასევე, ტექსტილის სხვა ნაწარმის დახმარებით.

როგორც ირკვევა, მიმდინარე წლის ოქტომბრიდან ბრიტანელები სპეციალური ლენტის ‘მიკროფლექსის“ შექმნაზე მუშაობის დაწყებას აპირებენ, რომელიც ენერგიის გენერირებას პირდაპირი მექანიკური ზემოქმედების შედეგად მოახერხებს.

ამ დროისთვის ცნობილია, რომ სპეციალური მატერიის დატანა ტექსტილის ნებისმიერ ნაწარმზე იქნება შესაძლებელი, რაც საშუალებას გამოიღებს, შეიქმნას სამოსი, რომელიც სხვადასხვა მოწყობილობას ადამიანის მოძრაობის პარალელურად დატენის. ასევე, შეიქმნება ხალიჩები, რომელთა მეშვეობითაც ოფისის განათებისთვის საჭირო ენერგიის გამომუშავება მოხდება. ტექნოლოგიის საიდუმლოებებს ბრიტანელები არ ამხელენ, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ბაზარზე გამოსვლისთანავე მათი გამოგონება პოპულარული გახდება, რადგან საქმე ეხება მოწყობილობას, რომლის წყალობითაც ელექტროენერგიის უწყვეტად მიღება ერთჯერადი გადახდით იქნება შესაძლებელი.

**cnews.ru**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



1. ამფიბია
2. პრო-ვინცია კანადაში
3. ორგა-ნული ნივთი-ერება
4. ძალიან წმინდა საცერი
5. მტაცებელი ფრინველი
6. მუს-ლიმანებში: ... და სუნიტი
7. „ოცი წლის შემდეგ“ კარდინალი
8. ძალიან ჭკვიანი ბავშვი
9. ანჩხლი
10. „... და ჭიანჭ-ველა“
11. ნაგებობა მდინა-რეზე
12. მწერალი ალექსან-დრე ...
13. „... ვოდევი-ლები“
14. დიდი ქვა
15. ავეჯი
16. ზაფხულის თვე
17. კომ-პოზიტორი ... ხრენნი-კოვი
18. ცხენის ნაშიერი
19. იოჰან ... ბახი
20. კაპიტან ნემოს გემი
21. დაბა ყაზბეგის რაიონში
22. 100კგ
23. თირკმ-ლების დაავა-დება
24. მსახიობი ... ვენტურა
25. ფრინველი ეგვიპტურ მითებში
26. ამერიკული თოჯინა
27. სოფელი დუშეთის რაიონში
28. პა-ტარძლის მანდილი
29. უბრალო უზურგო სკამი
30. მოსა-მართლის მოსას-ხამი
31. გზებზე გადაად-გილების საშუა-ლებები
32. ჰოლან-დიელი მხატვარი
33. უკანონოდ მონა-დირე
34. მინდვრის ყვავილი
35. „ბითლზი“ ჯონ ...
36. დიდი საჯარისო შენაერთი
37. მსახიობი ჟან ...
38. მსახიობი ... ასანტე
39. მსახიობი ოდრი ...
40. თევზის ჯიში
41. აორტის ანთება
42. ქართ. ანბანის ბოლო ასო
43. ერთიანი ნარდში
44. დიეზი, ბემოლი და ...
45. სათევზაო ნაქსოვი
46. სამკურ-ნალო მცენარე
47. მომ-ღერალი დაიანა ...
48. მსახიობი ... ჯიროტი
49. მომ-ღერალი ... სოხაძე
50. მწვანილი
51. უფლის სამოსი
52. ძველი ნახატის აღდგენა
53. რუსული ხალხური საკრავი
54. კლოუნის საცირკო ნომერი
55. ვირას საპირის-პირო
56. უხარისხო, უბრალო
57. კომ-პიუტერის ანტივი-რუსი
58. ვაზის ტოტი ორი მტევნით
59. თინეი-ჯერი, ანუ ...
60. ზაფხულის თვე
61. ტელე-კომპი
62. ღომში ჩაზელილი სულგუნი
63. მსახიობი ... ქლოუზი
64. ძიძა
65. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
66. მხოლოდ ტანის ქანდაკება
67. ლითონის ფული
68. სინი
69. რე-ჟისორი ... დე ბონტი
70. თბილისის უბანი
71. ყველაზე მტკიცე მინერალი
72. სინთე-ზური ქსოვილი
73. მომ-ღერალი ... მაგომაევი
74. ვერ დაიჭი-რავს ... გზა ვიწრო ვერცა კლდოვანი
75. კუნძული იაპონიაში
76. რე-ჟისორი გას ... სენტი
77. თანა-მედროვე გიგანტ. ხვლიკი
78. სოფელი მარტვილის რაიონში
79. რე-ჟისორი ... მურატოვა
80. მსახიობი ... მიურეი
81. სახის განზრახ მანჭვა
82. ვაზის სასხლავი მაკრატელი
83. თამადა, ანუ ...
84. მწყემსის მოსასხამი
85. იატაკის საცხი
86. მუსიკ. ვიდეო-რგოლი
87. პრიმატი ცხოველი
88. კურორტი ბორჯომ-თან
89. მსახიობი ... კალკინი
90. სახელმ-წიფო აფრიკაში
91. ბავშვი (კუთხ.)
92. ძვ. ბერძენი ფილოსო-ფოსი
93. კომში
94. ადვილი, ანუ ...
95. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
96. მსახიობი ანა ...
97. ირანში: ... ჰომეინი
98. მეფის მხლებ-ლები
99. წლოვა-ნება
100. ... პოპესკუ გოპო
101. ფქვილით შეზავე-ბული ბადაგი
102. დღე ხვალის შემდეგ
103. ზურიკელას ძაღლი
104. მომ-ღერალი ... კალანდაძე
105. მხატვარი დიეგო ...
106. კეთილი ჯადოქარი
107. ... გათეთრ-დების ყორანი
108. „მაუგლი“ პითონი
109. სპორტ. შეჯიბრის დასაწყისი
110. მომ-ღერალი ... სპირსი
111. ალამი
112. რუ-მინული ფულის ერთეული
113. ადამის მეუღლე
114. გულის მთავარი სისხლ-ძარღვი
115. დათვის ნაშიერი
116. მსახიობი ... სტრიპი
117. მსახიობი ... ჟაკობი
118. ჩოგ-ბურთის მოედანი
119. ყველაზე რბილი მინერალი
120. იუპიტერის თანამგ-ზავრი
121. მტაცებელი თევზი ამაზონში
122. მსახიობი ... პიტი
123. „ჯერ შრომა, ... ხტომა“
124. მდინარე ინდოეთში
125. მამათა დიდი მონასტერი
126. მომ-ღერალი ... ბურჭულაძე
127. დადიანი. „უბედური ...“
128. სამკა-ციანი ანსამბლი
129. ბალანი, ბეწვი
130. შოტ-ლანდიური ნაგაზი
131. სამშობლოს მოყვა-რული
132. სიტყვების თამაში
133. გამჭოლი ქარი
134. გაზა-ფხულის თვე
135. მთათა სისტემა ...-შანი
136. კომპო-ზიტორი ნინო ...
137. მომ-ღერალი ... სუმაკი
138. ანსამბლი „სტატუს-...“
139. სპორტის სახეობა
140. მსახიობი ვიაჩესლავ ...
141. ალექსეი ტოლსტოი. „ინჟინერ ... ჰიპერბოლოიდი“
142. ქვეყნი-ერების გადამ-რჩენი
143. მწნილი
144. ... ურჩევნია მამულსა
145. მომავლის რწმენა

პასუხები: 1. ბაყაყი; 2. კვებეკი; 3. ანილინი; 4. მერდინი; 5. არწივი; 6. შიიტი; 7. მაზარინი; 8. ვუნდერკინდი; 9. ავი; 10. რწყილი; 11. ხიდი; 12. ყაზბეგი; 13. ძველი; 14. ლოდი; 15. ტახტი; 16. ივნისი; 17. ტიხონ; 18. კვიცი; 19. სებასტიან; 20. ნაუტილუსი; 21. სტეფანწმინდა; 22. ცენტნერი; 23. ურემია; 24. ლინო; 25. იბისი; 26. ბარბი; 27. ბარისახო; 28. ფატა; 29. ტაბურეტი; 30. მანტია; 31. ტრანსპორტი; 32. რემბრანდტი; 34. ბაბუაწვერა; 35. ლენონი; 36. არმია; 37. რენო; 38. არმან; 39. ტოტუ; 40. მურწა; 41. აორტიტი; 42. ჰაე; 43. იაქე; 44. ბეკარი; 45. ბადე; 46. მრავალძარღვა; 47. როსი; 48. მასიმო; 49. ირმა; 50. კამა; 51. კვართი; 52. რესტავრაცია; 53. ბალალაიკა; 54. ანტრე; 55. მაინა; 56. მდარე; 57. კასპერსკი; 58. აკიდო; 59. ნინველი; 60. აგვისტო; 61. ანძა; 62. ელარჯი; 63. გლენ; 64. გადია; 65. მისისიპი; 66. ტორსი; 67. მონეტა; 68. ლანგარი; 69. იან; 70. ვაკე; 71. ალმასი; 72. ნეილონი; 73. მუსლიმ; 74. სიკვდილსა; 75. ოკინავა; 76. ვან; 77. ვარანი; 78. ბანძა; 79. კირა; 80. ბილ; 81. გრიმასა; 82. სეკატორი; 83. ტოლუმბაში; 84. ნაბადი; 85. მასტიკა; 86. კლიპი; 87. მაიმუნი; 88. ლიკანი; 89. მაკოლეი; 90. ნიგერია; 91. ბალღი; 92. პლატონი; 93. ბია; 94. იოლი; 95. ბრაზილია; 96. მანიანი; 97. აიათოლა; 98. ამალა; 99. ასაკი; 100. იონ; 101. ფელამუში; 102. ზეგ; 103. მურადა; 104. ბესიკ; 105. ველასკესი; 106. ფერია; 107. არ; 108. კაა; 109. სტარტი; 110. ბრიტნი; 111. დროშა; 112. ლეი; 113. ევა; 114. აორტა; 115. ბელი; 116. მერილ; 117. ირენ; 118. კორტი; 119. ტალკი; 120. იო; 121. პირანია; 122. ბრედ; 123. მერე; 124. განგი; 125. ლავრა; 126. პაატა; 127. რუსი; 128. ტრიო; 129. თმა; 130. კოლი; 131. პატრიოტი; 132. კალამბური; 133. ორპირი; 134. მაისი; 135. ტიან; 136. როტა; 137. იმა; 138. კვო; 139. კრივი; 140. ტიხონოვი; 141. გარინის; 142. მესია; 143. მარინადი; 144. ის; 145. იმედი. იკითხება: ყურძენი.

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

მეუღლე მანონი ასათიანი, შვილები მედეა და ნინო, სიძეები გიორგი გოცაძე, ავთანდილ ნაცვლიშვილი, შვილიშვილები: ელენე, ნატალია, ერეკლე, ალექსანდრე გოცაძეები, ნინი, ნიკოლოზ ნაცვლიშვილები, დები ლილი, ციცო ბადაშვილები ოჯახებით, ცოლისძმა მელორ ასათიანი ოჯახით და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

### გივი არჩილის ძე ბადაშვილი

**პანაშვიდი:** 4, 5 სექტემბერს, 17 საათზე;

**მისამართი:** ლადო ასათიანის ქ. №44 (სოლოლაკი, ყოფილი ენგელსის ქ.).

**გამოსვენება:** 6 სექტემბერს, 14 საათზე, ქაშუეთის ეკლესიიდან.

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

## ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად... ქვიშით იკვებება



ინდოეთის ერთ-ერთ მიკარგულ პროვინციაში მცხოვრები მოხუცი ბებია ყოველდღიურად დაახლოებით ერთ კილოგრამ ქვიშას ჭამს, რაც, მისი მტკიცებით, ფორმის შენარჩუნებასა და ჯანმრთელობის გამტკიცებაში ეხმარება. საინტერესოა, რომ ამ უჩვეულო „საკვების“ მოყვარულ რამ რატის უკვე 80 წელი შეუსრულდა, თუმცა, აღარავის ახსოვს, როდის იყო ის შეუძლოდ.

– ქვიშა პირველად ახალგაზრდობაში ხუმრობით გავსინჯე და ძალიან დიდი ენერგიის მოზღვავება ვიგრძენი. მას შემდეგ ყოველდღიურად ერთ კილო, ან კილო-ნახევარ ქვიშას მაინც ვჭამ, რაც სიცოცხლეს მიხანგრძლივებს, – ამბობს რამ რატი.

თურმე, მოხუც ინდუსს შვილები და შვილიშვილები ეხვეწებიან, რასაც ინატრებ, იმ საჭმელს გაგიკეთებთ, ოღონდ თავს ნუ გვჭრიო, მაგრამ რამ რატი ქვიშაზე უარის თქმას მაინც არ აპირებს.

ისე, ამ ფინანსური კრიზისის გამო მთელ მსოფლიოში ყველაფერი რომ გამოილიოს და ადამიანები მშივრები დარჩნენ, ყველაზე კარგად თავს სწორედ რამ რატი იგრძნობს, რადგან აბა, რომელი კრიზისი და დევალვაცია იმოქმედებს ქვიშის რაოდენობაზე?

***health.ru***

## ჰერპესის ვირუსით კიბოს განკურნება შეიძლება?



საკმაოდ უჩვეულო ექსპერიმენტის წყალობით, საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგის მიღება შეძლეს ლონდონის ერთ-ერთი კლინიკის „როიალ მერსდენის“ სპეციალისტებმა, რომლებმაც თავსა და ყელზე სიმსივნური წარმონაქმნების მქონე პაციენტების მკურნალობისთვის ჰერპესის გენეტიკურად მოდიფიცირებული ვირუსი გამოიყენეს.

ექსპერიმენტული მკურნალობის შედეგად დადგინდა, რომ თერაპიის ტრადიციულ სახეობებთან შედარებით, ჰერპესის ვირუსის გამოყენება გაცილებით დიდ ეფექტს იძლევა.

ცნობილია, რომ კვლევის ფარგლებში გენმოდიფიცირებული ვირუსი 17 პაციენტის კიბოთი დაზიანებულ ლიმფურ კვანძებში იქნა შეყვანილი. ამის შემდეგ ექსპერიმენტის მონაწილეები რადიო და ქიმიოთერაპიის კურსის ჩატარებას შეუდგნენ. ბოლო ეტაპზე, როცა მოხალისეებს სიმსივნური წარმონაქმნები ქირურგიული ჩარევის გზით ამოკვეთეს, 93 პროცენტს დაავადების კვალიც აღარ აღმოაჩნდა.

უნდა ითქვას ისიც, რომ უკუჩვენებები მკურნალობის ამ ახალ მეთოდს თითქმის არ მოჰყოლია.

ბრიტანელი მეცნიერების განმარტებით, ჰერპესის ვირუსის მოდიფიცირება იმგვარად მოხდა, რომ ის მხოლოდ კიბოს უჯრედების შიგნით გამრავლებულიყო. განაყოფიერების შემდეგ, ვირუსი „ფეთქდება“, რითიც კიბოს უჯრედებს ანადგურებს და ახლად წარმოქმნილი ცილების მეშვეობით ადამიანის იმუნურ სისტემას აძლიერებს.

სტატისტიკის მიხედვით, სიმსივნური წარმონაქმნები, მათ შორის პირის ღრუს, ენისა და ყელის კიბო მხოლოდ ბრიტანეთში ყოველწლიურად 8 ათასამდე ადამიანს უჩნდება. ამერიკაში კი ეს ციფრი 39 ათასს უტოლდება. ამდენად, ბრიტანელების მკურნალობის ახალი მეთოდი ონკოლოგიის სფეროსთვის მართლაც უმნიშვნელოვანესია.

***bbc.co.uk***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**4 სექტემბერი:** ნუ გაჯიუტდებით, სხვათა აზრებიც გაითვალისწინეთ. გაჯიუტებით მაინც ვერაფერს მიაღწევთ და ან თავს რატომ იწვალებთ, ან სხვებს რას ერჩით?

**კურო 22.04-21.05**

**4 სექტემბერი:** თქვენი მომხიბვლელობა ბევრ რამეში გაგიხსნით გზას, მთავარია, მოინდომოთ. თუ ვინმეს მონუსხვა გესაჭიროებათ, ამისთვის შესაფერისი დღეა.

**ტყუპები 22.05-21.06**

**4 სექტემბერი:** დროა, დიდი ხნის წინ წამოწყებული პროექტი დაასრულოთ. ყოველ შემთხვევაში, დღეს ამისთვის რამე უნდა გააკეთოთ. რამე ახლის წამოწყება ჯერჯერობით არ ღირს.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**4 სექტემბერი:** საკმაოდ ენერგიული და აქტიური იქნებით. ნებისმიერ საკითხს, რომელიც აქტუალური გახდება, ადვილად მოაგვარებთ.

**ლომი 23.07-22.08**

**4 სექტემბერი:** ეს დღე საკმაოდ ნაყოფიერი იქნება და კმაყოფილიც დარჩებით, თუმცა, ნებისმიერ საქმეზე ძალისხმევა დაგჭირდებათ, მცირედი მაინც.

**ქალწული 23.08-22.09**

**4 სექტემბერი:** გარშემომყოფებთან კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარება გაგიჭირდებათ. ამიტომ, თუ რამე აზრიანი გინდათ გააკეთოთ, მარტო იმოქმედეთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**4 სექტემბერი:** შეიძლება დღეს ძალიან ეჭვიანი აღმოჩნდეთ და თქვენთვის ძვირფასი ადამიანები გაანაწყენოთ. თუ ეჭვებს ვერ იცილებთ, გარეგნულად მაინც ნუ შეიმჩნევთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**4 სექტემბერი:** დარდისთვის მიზეზების ძებნას ნუ დაიწყებთ, არაფერი გამოგივათ. ძალიან კარგ განწყობაზე იქნებით და ბევრს გამოუკეთებთ ხასიათს.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**4 სექტემბერი:** თუ წინა დღით სამოქმედო გეგმაზე ჩამოყალიბდით, დროა, მოქმედება დაიწყოთ, ოღონდ, არა აგრესიულად, ეს ბევრს არაფერს შეგმატებთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**4 სექტემბერი:** ყველა მოულოდნელობისთვის წინასწარ შემზადება შეუძლებელია, მაგრამ იმ მომენტისთვის მზადყოფნას, როცა ის მოხდება, მოახერხებთ. თქვენს თვალწინ რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მოხდეს.

**მერწყული 20.01-18.02**

**4 სექტემბერი:** ძალიან მოუთმენელი იქნებით და თუ არ გინდათ ამის გამო ნერვები დაიწყვიტოთ, შეეცადეთ, ეს გამოვლინება უფრო სასარგებლო ენერგიად გარდაქმნათ.

**თევზები 19.02-20.03**

**4 სექტემბერი:** შეიძლება დღეს ძალიან უხეშად მოგექცნენ. თუ ამას იუმორში გაატარებთ, მწარედ ინანებენ.

## დახურულ შენობებსა და ავტომობილში მობილური განსაკუთრებით სახიფათო აღმოჩნდა



ასეთ შემთხვევებში, თურმე, მობილური მთელი ძალებით მუშაობს და შესაბამისად, სპეციალისტები გვირჩევენ, ტელეფონი დახურულ შენობებსა და ავტომობილების სალონში არ გამოვიყენოთ, რათა ძლიერი დასხივება არ მივიღოთ.

როგორც ირკვევა, დახურულ სივრცეში, განსაკუთრებით კი ისეთ შემთხვევებში, როცა საქმე გვაქვს სქელ კედლებთან ან ლითონის ბარიერებთან, მობილური ტელეფონის სიგნალი დაბრკოლებას რთულად უმკლავდება და შესაბამისად, მთელი სიმძლავრით მუშაობაზე გადადის.

სპეციალისტები ასევე გვირჩევენ, რომ გამოვიყენოთ ისეთი გარნიტურები, რომლებიც მობილურის თავთან ახლოს მიტანის აუცილებლობას მოგვიხსნიან. არ არის რეკომენდებული აპარატის ყიდვა 16 წლამდე მოზარდებისთვისაც, რადგან მათი ორგანიზმი გამოსხივების მიმართ გაცილებით მგრძნობიარეა. კარგი იქნება, თუკი კომუნიკაციის ამ ერთ-ერთ საუკეთესო, მაგრამ ამასთანავე, ზიანის მომტან საშუალებას ქამარზეც არ დაიმაგრებთ, რათა დასხივებისგან საკმაოდ მნიშვნელოვანი ორგანოები დაიცვათ.

***gazeta.ua***

## წონის დასაკლებ პრეპარატებს ინსულტის გამოწვევა შეუძლია?



ფსიქოტროპული ნივთიერება სიბუტრამინი აღმოაჩინეს უკრაინელმა სპეციალისტებმა წონის დასაკლებ რამდენიმე პრეპარატში, რომლის ხშირ მიღებასაც შესაძლოა, უმძიმესი შედეგები, მაგალითად, ინსულტის განვითარება და ზოგ შემთხვევაში, ადამიანის გარდაცვალებაც კი მოჰყვეს.

უკრაინის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ექსპერტების ინფორმაციით, საშიში ნივთიერება ხუთ ყველაზე პოპულარულ მედიკამენტშია აღმოჩენილი, რომელთა ამოღებაზე სამართალდამცველებმა მუშაობა უკვე დაიწყეს და სისხლის სამართლის საქმეც აღძრეს.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ რატომღაც უკრაინული მედია საშიში მედიკამენტების ჩამონათვალს არ ავრცელებს, არადა, ასეთ შემთხვევაში საზოგადოების გაფრთხილება, დაგვეთანხმებით, აუცილებელია. აქედან გამომდინარე, ვერ გეტყვით, იყიდება თუ არა სიბუტრამინის შემცველი პრეპარატები ქართულ ბაზარზეც, მაგრამ დამატებითი სიფრთხილის გამოჩენა მაინც არავის აწყენდა. ბოლოს და ბოლოს, სპეციალისტების დიდი ნაწილი წონის დასაკლებ წამლებს რეკომენდაციას ისედაც არ უწევს.

***obozrevatel.com***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



კლინიკიდან სამი ექიმი გამოდის.

სტომატოლოგი:

– ღმერთო ჩემო, ჰაერი! სუფთა ჰაერი!

პათოლოგანატომი:

– და ადამიანები! ცოცხალი ადამიანები!

გინეკოლოგი:

– რაც მთავარია – სახეები! სახეები!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია »211359457 ქრონიკა

დამფუძნებელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი **ილია ჭაქვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი



გაზეთ **„ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**



**სარეკლამო სამსახური**

☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე

221 21 80

(შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.25